საზოგადოებრივი გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 25 დეკემბერი, 2023 №253 (9289) ფასი: 80 თეთრი

83.3
ეროვნული ბიბლიოთეკა

ემიგრანტი ქალის თქმით, მას პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებენ



„უმუშევრობა, კორუფცია, ემიგრაცია, გაძვირებული ცხოვრება და ისევ „ქართული ოცნება“?!

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს ცეცხლივით ეშინია რეიტინგული ფიგურების. ყველა მოიშორა და ურეიტინგო ხალხი დაიტოვა“

გვ.3

„ჩვენ არც ერთ პარტიასთან არ ვერთიანდებით“

გვ.2

ბაჩო დოლიძე: „თან ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაზე საუბრობდე და თან ბარიერზე კანკალებდე, ეს თანხვედრაში არ არის“

გვ.4

„რეკომენდაციები 100% უნდა შევასრულოთ“

„ქურდი ფოლადას“ სახელით გელაპარაკები... საფლავი გაითხარე“

გვ.3

ბოლნისში კაცმა ცოლს თავი იძულებით გადაპარსა და ვიდეოკადრები გაავრცელა

ისტორიები

რატომ დატოვა დავით მიქელაძემ მშვენიერი ქალები გაუთხოვრად?

გვ.5

დედამ ანეკდოტის წყალობით შვილი კომიდან გამოიყვანა

მედიცინა
გვ.5

2 რუსი ტურისტები აფხაზეთში სასტუმროებს ზაფხულისთვის დეკემბრიდანვე ჯავშნიან

4 ვინ აშენებს ვერეს ხეობაში 190 მეტრამდე სიმაღლის ცათამბჯენებს?

7 შავი ლომი ევროპის სუპერ თასის გამარჯვებული ზედიზედ მესამედ გახდა

6 აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ტრამპს უარი უთხრა

1993230720223

„ჩვენ არც ერთ პარტიასთან არ ვერთიანდებით“

ბაჩო დოლიძე: „თან ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაზე საუბრობდე და თან ბარიერზე კანკალებდე, ეს თანხვედრაში არ არის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ბაჩო დოლიძე პასუხობს.

— ბაჩო, მიხეილ სააკაშვილის განცხადება ერთიანობასა და ოპოზიციის აქტიურ თანამშრომლობაზე, ყველამ სხვადასხვაგვარად გაიგო. მოვისმინეთ ასეთი შეფასებაც, რომ პარტია დაეშალა და რა გაერთიანებაზე საუბრობსო. თქვენ როგორ გაიგეთ მიხეილ სააკაშვილის გზავნილი?

— მოდით, ცოტა მეტი სიცხადე შევიტანოთ მის განცხადებაში, შემდეგ თავადაც მოუწია განმარტების გაკეთება. ამ შემთხვევაში საუბარია, თვითონ პარტიის შიგნით რაღაც სუბიექტის ჩამოყალიბებაზე. ეს არ ეხება არც გარე ოპოზიციის ჩართულობას და ამას არანაირი კავშირი არა აქვს სხვა პარტიებთან. სულ ტყუილად მოჰყვა ვნებათაღელვა სხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. რაც შეეხება პარტიის დაშლას, ბედნიერი რომ არ იქნება ამით, ცალსახაა, რად უნდა ამას ლაპარაკი. რაც მოხდა, ეს იყო გარდაუვალი. ან უნდა შევგუებოდით იმ მოცემულობას, რომელიც იყო, ან ვისაც გვჯეროდა, სხვა პოლიტიკით შეიძლებოდა რეზულტატის დადება, მივიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებელი თამაშის და წამოვედით.

— თუ გამოიკვეთა რეალურად თქვენი სამოქმედო გეგმა და მიზნები? ვისმენთ შეფასებებს, რომ ნიკა მელია თუ მარტო გავა არჩევნებზე, გაუჭირდება ბარიერის გადალახვა. ამაზე რას იტყვით?

— ყველაზე ნაკლებად თუკი რამეზე ვნერვიულობთ და ვფიქრობთ, ეს არის სწორედ ბარიერის გადალახვის საკითხი. ამხელა ამბავს ისე ნამდვილად არ წამოვიწყებდით, ბარიერი რომ ყოფილიყო გადასალახავი. სკეპტიკოსებს დავამშვიდებ, რომ ამის პრობლემა არ გვაქვს. ჩვენ ავიღებთ იმდენ პროცენტს, რომელიც საჭირო იქნება კოალიციურად, ივანიშვილის დასამარცხებლად. ჩვენ თუ არა, აბა ვის აქვს ამომრჩეველთან ურთიერთობის გამოცდილება პოლიტიკურ ველზე?!

— როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი იყრით კენჭს?

— რა თქმა უნდა!

— ბოლო დღეებია, ძალიან ბევრს საუბრობენ „ლელოს“ და ნიკა მელიას ალიანსზე.

— ბევრი მეკითხება ამ საკითხზე და გეტყვით, რომ არ ვაპირებთ არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტთან შერწყმას. ერთიან სიას აქ არ ექნება ადგილი. გავდივართ აბსოლუტურად დამოუკიდებლად. დამოუკიდებელი სუბიექტი, დამოუკიდებელი ნომრით და დამოუკიდებელი სახელით!

— „ლელოს“ ლიდერებისგან მოვისმინეთ, რომ არ გამოვრიცხავთ თანამშრომლობასო. მაშინ რა იგულისხმება ამ თანამშრომლობაში?

— თანამშრომლობით ყველასთან ვთანამშრომლობთ. ბევრ პარტიასთან შეიძლება თანამშრომლობა. თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ერთიანი სია, ერთიანი პარტია, ეს აბსოლუტურად სხვაა. ჩვენ აბსოლუტურად დამოუკიდებლები ვიქნებით.

— დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ არჩევნებს სჭირდება დიდი ფული. სწორედ ამიტომ საუბრობენ თქვენსა და „ლელოს“ ერთობაზე, რადგან მათ აქვთ ფული.

— ეგ არის ის სტერეოტიპი, რომელსაც ჩვენ დავარღვევთ. თუ თანხმდებიან, რომ არჩევნებს სჭირდება აუცილებლად დიდი ფული, ჩათვალეთ, რომ მე არ ვეთანხმები. მე არასოდეს ვიზიარებ იმ აზრს, რომ მიზნის მისაღწევად დიდი ფულია საჭირო. მე ყოველთვის მაგ სტერეოტიპს ვანგრევდი. არც ესაა გამონაკლისი.

— იმის თქმა გინდათ, რომ აპირებთ ფულის გარეშე მოიგოთ არჩევნები?

— იმას კი არ ვამბობ, რომ ფული საერთოდ არაა საჭირო, მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა ყველაზე მნიშვნელოვანი. სწორედ ამაშია განსხვავება. ვიღაცას ჰგონია, რომ მარტო ფულია საკმარისი იმისთვის, რომ რაღაცა შედეგი დადოს.

— მაინც გვესმის კითხვები, რომ დღეს ნაცმოძრაობას აქვს კეზერაშვილის ფული, თანაც დიდი ფული და რის ან ვის იმედადაა ნიკა მელია?

— ჩვენ ვართ ჩვენი თავის და ჩვენი ხალხის იმედზე. მე არ მესმის, ბოლო პერიოდში რატომ შემოვიდა ასე დრამატულად ფულის ელემენტი. არ გვინახავს, ადამიანებს მიუღწევიათ შრომით და მონდომებით?! თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფული არის ერთადერთი გადამწყვეტი მოტივატორი და ფულით ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია, ჩემთვის ასეთი ნარატივი წარმოუდგენელია. გამოწვევა იქნება ჩვენთვის და დავამტკიცებთ კიდეც, რომ თურმე ფული ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არ არის.

— გასული კვირის ბოლოს, ვენეციის კომისიის დასკვნა მოვისმინეთ, რომელიც საკმაოდ კრიტიკული იყო. გაჩნდა მოლოდინი, რომ შესაძლოა, ხელისუფლებამ მის მიერ ასე ნაქები საარჩევნო რეფორმას გადახედოსო. რა მოლოდინი გაქვთ, დაწევენ ბარიერს?

— არ მაქვს მოლოდინი ბარიერის დაწევის. არც ვფიქრობ მაგაზე. თან ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაზე საუბრობდე და თან ბარიერზე კანკალებდე, ეს თანხვედრაში ვერასოდეს ვერ იქნება ერთად! „ქართული ოცნება“ რომ ამ მხრივ არაფერს გააკეთებს, რომ ოპოზიციას ხელი შეუწყოს თავისთავის ჩანაცვლებაში, ამაში ორი აზრი არ არის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი ევროპელი პარტნიორები იქნებიან გადამწყვეტი ფაქტორი და მათ აზრს გაითვალისწინებენ, არც ასე არ იქნება! სხვა რომელი რეკომენდაცია გაითვალისწინეს და შეასრულეს?! 12 რეკომენდაციიდან 9 შესასრულებელია? კანდიდატის სტატუსი არის პირველი ნაბიჯი. ჩვენ მხოლოდ სტატუსი კი არა, წევრობა გვინდა! ამ გზაზე კი საჭიროა რეფორმების ჩატარება. გამორიცხულია, რომ ახლა, „ქართულმა ოცნებამ“ დამოუკიდებელი გახადოს ან პროკურატურა, ან სასამართლო, ან ცენტრალური საარჩევნო კომისია და ან სხვა რამ.

— გასულ კვირას, ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა საზოგადოების წინაშე. ბევრმა მისი გამოჩენა ასე გაიგო, რომ ის აუცილებლად ჩაერთვება „ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში, რადგან მაშველი რგოლი დასჭირდებათ. თქვენ რას ფიქრობთ?

— იმის არდაშვება, რომ ბიძინა ივანიშვილი მაშველი რგოლის ფუნქციას არ შეასრულებს, ძალიან რთულია. ალბათობა დიდია, რომ ის ჩაერთვება და ეცდება მაშველი რგოლის შესრულებას, მაგრამ ხალხს გადაწყვეტილება მიღებული აქვს, ჯერი ოპოზიციაზეა, ალტერნატივა უნდა ვაჩვენოთ!

— ბაჩო, მართალია მიხეილ სააკაშვილი დღეს თქვენი ლიდერი აღარ არის, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობთ გიორგი გახარიას პარტიის განცხადებაზე, რომ ის აუცილებლად ციხეში უნდა გადაიყვანოს ხელისუფლებამ. ამ განცხადებებში, ირაკლი კობახიძეც აჰყვა მათ. რა მოლოდინი გაქვთ, დააბრუნებენ ციხეში? ან რატომ დასჭირდა გახარიას გუნდს მსგავსი განცხადების გაკეთება?

— „ოცნებას“, რა თქმა უნდა, ყველაფრის გაკეთება შეუძლია და წამსვლელია ყველაფერზე, მაგრამ გახარიას რაში დასჭირდა ასეთი რამის თქმა, არ ვიცი. თან ოპოზიციაში იყო და თან იძახდე, თუნდაც კონკურენტ ოპოზიციურ ლიდერზე, რომ მიდით და სასწრაფოდ ციხეში გადაიყვანეთ, არ ჯდება არაფერში. ციხეში გადაყვანის მოთხოვნა უკვე ცუდი ტონია. იქნებ ჯერ ის მოთხოვნა დაეყენებინა, რომ სასამართლო იყოს თავისუფალი?!

— „ოცნება“ ამბობს, რომ გახარია ივანიშვილთან გარიგდა და ამ იარლიყის მოშორებას ხომ არ ცდილობს?

— ძალიან ცუდი გზა აირჩია ამ იარლიყის მოსაშორებლად. ნებისმიერი ადამიანის ციხეში გადაყვანის მოთხოვნა, როგორი პოლიტიკური მტერიც არ უნდა იყოს, არ ჯდება საერთოდ არაფერში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არც დამოუკიდებელი სასამართლო გაქვს, არც პროკურატურა. თანაც აცხადებ, იმიტომ კი არ უნდა გადაიყვანო, რომ დააშავაო, იმიტომ უნდა გადაიყვანო, რომ დღის წესრიგს ცვლის ჩემზე კარგადო. ანუ რა გამოდის, მე ვერ ვჯობნი და ამიტომ გადაიყვანეთო.

— და „ოცნება“ რას იზამს?

— როგორც დასჭირდება, ისე იზამს. ფაქტია, არ მოერიდება არაფერს. როგორ შეიძლება რამე გამორიცხო? „ოცნებისგან“ ყველაფერია მოსალოდნელი.

„ხან უკრაინულად მოგვმართავს, ხან ინგლისურად, ხან დაავიწყდება ქართული...“ — ბერდია სიჭინავა სააკაშვილზე

მიხეილ სააკაშვილი არის უნივერსალური ჯოკერი ბიძინა ივანიშვილის ხელში, რომელსაც ძალიან წარმატებით გამოიყენებს, — ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ აღმასრულებელმა მდივანმა, ბერდია სიჭინავამ განაცხადა.

ბერდია სიჭინავას განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ სჭირდება მოლაპარაკე სააკაშვილი, რომელიც საუკეთესო „საფრთხობელა“ იქნება 2024 წლისთვის.

— პროცესი „ოცნების“ და ივანიშვილის დირიჟორობით მიმდინარეობს თავიდან ბოლომდე. მოლაპარაკე სააკაშვილი, რომელმაც ნაციონალური მოძრაობა უნდა გააერთიანოს, საუკეთესო საფრთხობელა უნდა იყოს 2024 წელს, ეს სჭირდება „ქართულ ოცნებას“.

100 არჩევნებიდან 100-ს მოუგებს „ნაციონალურ მოძრაობას“ „ოცნების“ ხელისუფლება. ეს არის მოცემულობა და ამ ქვეყნის უახლოესი ისტორია. „ნაციონალურ მოძრაობას“ რა ზიზღი აქვს დათესილი ასეთი, რომ IRI-ის კვლევებში იმაზე ნეგატიური მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე „ოცნების“ ხელისუფლებას, რომელმაც გააღარიბა ადამიანები. „ნაციონალური მოძრაობა“ საუკეთესო კონკურენტია „ოცნებისთვის“ იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობისადმი“ ზიზღი ადამიანებს აერთიანებს და კრებს და ეს გვაზარალებს სხვა პარტიებსაც.

2021 წელსაც ასე იყო. არ გახსოვთ, სააკაშვილი რომ ჩამოქანდა ქვეყანაში, როგორ პოლარიზდა გარემო და გაიყო ხმები? მე კარგად მახსოვს. თუ დასჭირდებათ, მიხეილ სააკაშვილს იქიდანაც გამოიყენებენ და აქედანაც. შეიძლება გამოუშვან კიდეც, ამის თეორიულ შესაძლებლობას ვუშვებთ, — განაცხადა ბერდია სიჭინავამ.

ბერდია სიჭინავას თქმით, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალება ეძლევა, რაც მართლმსაჯულების შეურაცხყოფაა.

— გამოვიდეს მაინც სახელმწიფო უწყება და თქვას, სააკაშვილი მძიმედაა და ვტოვებთ მას პალატაშიო. აქ კიდევ მეორე საკითხია, საერთოდ რატომ ეძლევა პატიმარს აქტიური საარჩევნო უფლება? ხმის მიცემის უფლებაც არ აქვს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პატიმარს. ამ ადამიანს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, რატომ ეძლევა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება? ხან უკრაინულად მოგვმართავს, ხან ინგლისურად მოგვმართავს, ხან დაავიწყდება ქართული და გვეტყვის, რომ ქართულ პოლიტიკაში არ ვმონაწილეობ, ხან კიდევ გაახსენდება, რომ ქართველია და ახლა ეს „სუპერ პაკი-პუკი“, საბჭოებს ქმნის. წარმოუდგენელი რაღაც ხდება, ეს არის მართლმსაჯულების შეურაცხყოფა და ეს „ოცნების“ ნება-სურვილის გარეშე ხდება? — განაცხადა ბერდია სიჭინავამ.

რუსი ტურისტები აფხაზეთში სასტუმროებს ზაფხულისთვის დეკემბრიდანვე ჯავშნიან

აფხაზეთში 2024 წლის ზაფხულის ტურისტულ სეზონზე რუსი დამსვენებლების სრულ ბუმს ელოდებიან. TourDom-ის ინფორმაციით, ტურისტებმა აფხაზეთის ზღვისპირა კურორტებზე არსებული სასტუმროების დაჯავშნა უკვე დაიწყეს. ტურისტული სააგენტოები აღნიშნავენ, რომ 2024 წლის მაისისთვის უკვე ძალიან ბევრი ნომერი დაიჯავშნა და რუსები სასტუმროებს უკვე ივლისის თვისთვის ეძებენ.

ამგვარი აქტივობა მრავალი მიზეზითაა განპირობებული. პირველ რიგში, რუსეთის მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციები ბევრ ადამიანს უქმნის იმის პრობლემას, რომ მათთვის აქამდე საყვარელ ევროპულ, ამერიკულ თუ სხვა სანქციებში ჩართული ქვეყნების კურორტებზე გაემგზავრონ. სწორედ ამან განაპირობა გასულ წელს საქართველოს ტერიტორიაზე რუსი ტურისტების რეკორდული რაოდენობით შემოსვლა და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც დროებით ოკუპირებული აფხაზეთია, რომლის საოცარი ბუნება, ზღვის ულამაზეს სანაპიროებთან ერთად, რუს დამსვენებელს თვალს ჭრის.

არც ის ფაქტია უცნაური, რომ რუსები ზაფხულამდე ნახევარი წლით ადრე იწყებენ ნომრების დაჯავშნას, ვინაიდან აფხაზეთში არცთუ ისე ბევრი სასტუმროა. საუბარია მაღალი დონის და არა საოჯახო ტიპის სასტუმროებზე. აქედან გამომდინარე, ვისაც კარგ პირობებში სურს დროის გატარება, ის აქედანვე იწყებს აფხაზური სასტუმროების დათვალიერებას და არჩევანის გაკეთებას.

აფხაზეთში სასტუმროების სიმცირე კი ინვესტორების ნაკლებობამ გამოიწვია, რადგან იგი კვლავ სარისკო ტერიტორიად და რეგიონად მიიჩნევა, თუნდაც რუსი ინვესტორებისთვის.

როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი მოთხოვნაა განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე შემდეგ სასტუმროებზე: „აფსნი“, გრანდ ჰოტელი „რუსეთი“, „ევროპა“, „ნარტი“ და „ოქროს ქვიშა“.

გამოცემის ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, რუსი ტურისტების მატებასთან ერთად, სასტუმროთა ფასები 15%-ით გაიზარდა. რაც შეეხება ფასებს, ივნისში, ორ ადამიანზე 10 დღით ნომრის აღება 3-ვარსკვლავიან სასტუმროში მინიმუმ 56 000 რუბლი ეღირება, რაც 609 დოლარის ეკვივალენტია.

რუსებმა ხერსონი 88-ჯერ დაბომბეს, არიან დაღუპულები და დაშავებულები

რუსულმა ძალებმა, ბოლო დღე-ღამის განმავლობაში, ხერსონი 88-ჯერ დაბომბეს — ნაღმმტყორცნებიდან, არტილერიიდან, „გრადებიდან“, ტანკებიდან, ZU-23-2-დან, უპილოტო საფრენი აპარატებიდან 425 ჭურვი ისროლეს, — ინფორმაციას უკრაინული მედია ხერსონის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე, ალექსანდრ პროკუდინზე დაყრდნობით ავრცელებს.

პროკუდინის თქმით, რუსული აგრესიის შედეგად, გასული დღის განმავლობაში, ხერსონში 4 ადამიანი დაიღუპა და 9 დაშავდა, მათ შორის 1 ბავშვი.

ამასთან, ღამით რუსულმა ძალებმა ქალაქ ხერსონის ცენტრალური ნაწილი დაბომბეს. საარტილერიო ჭურვი საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა, რის შედეგადაც 87 წლის მამაკაცი და მისი 81 წლის მეუღლე დაიღუპნენ.

ამასთან, ქალაქის ცენტრალურ უბანში, ნანგრევების გაწმენდისას, მაშველებმა გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. მისი ვინაობა დგინდება.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უმუშევრობა, კორუფცია, ემიგრაცია, გაძვირებული ცხოვრება, რუსების მასობრივი ჩამოსახლება და ისევ „ქართული ოცნება“?!

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს ცეცხლივით ეშინია რეიტინგული ფიგურების. ყველა მოიშორა და ურეიტინგო ხალხი დაიტოვა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამ შემადგენლობით გავა, თუ შეიძლება სრულიად ახალი საარჩევნო სია შეადგინონ?

– „ქართული ოცნებაც“ მოიქცევა ზუსტად ისე, როგორც იქცეოდა აქამდე ყველა ავტორიტარული რეჟიმი. ყველაფერი იქნება დაკავშირებული იმ ერთ ადამიანთან. ყველაფერს გადაწყვეტს ბიძინა ივანიშვილი. მით უფრო, როდესაც საკითხი არჩევნებს ეხება. მის კეთილგანწყობაზე იქნება დამოკიდებული, ვინ მოხვდება სიაში და ვინ – არა.

ივანიშვილს რეიტინგული ფიგურები არ უყვარს. თუკი ვინმე იყო ასეთი, იმთავითვე მოიშორა. ამიტომ პირადი რეიტინგის არ მქონე ადამიანებით იქნება სიაც დაკომპლექტებული. დღეს „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებსაც არაფერი არ გააჩნიათ საკუთარი. მე ვიტყოდი, მათი სახელის და გვარის უკან ბიძინა ივანიშვილი იგულისხმება. ამ ადამიანებს არათუ საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფია, საერთოდ ბიოგრაფია არ გააჩნიათ.

მგონია, რომ „ოცნების“ სია დიდად არ შეიცვლება. ერთი-ორი ბიზნესმენი იქნება დამატებული, რომ მათ დააფინანსებინოს წინასაარჩევნო კამპანია და ერთი-ორი სპორტსმენი, მოჭიდავე ან მოკრივე იქნება შეყვანილი.

– რატომ, ივანიშვილი ფინანსებს არ უჩივის? რატომ ფიქრობთ, რომ სხვებს დააფინანსებინებს კამპანიას?

– რამდენი ხანია ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ფინანსებს არ ხარჯავს. მოპარულ ფულსაც კი არ ხარჯავს, არათუ საკუთარ ფულს. ბიუჯეტიდან, ტენდერების გავლით დააფინანსებინებს რომელიმე ბიზნესმენს. მერე შეიძლება სიაშიც ჩაწეროს. ამიტომაც გვაქვს მერე ტენდერებში ე.წ. გამარჯვებული კომპანიების მიერ კარგად გარემონტებული მეტროსადგურები, კარგად აშენებული რიკოთის უღელტეხილი, თუ ვაშლიჯვრის მონაკვეთი, რომელი ერთი გავიხსენო. ჩვეულებრივ აღებ-მიცემობას აქვს ადგილი. ასეთი პოლიტიკოსები რომ მოდიან პოლიტიკაში, ამიტომაც არის კარგად დაცული ეროვნული ინტერესები. რუსი ოკუპანტების მიერ თამაზ გინტურის მკვლელობის მერე, გორის მერი მოსკოვში ჩავიდა. დღემდე არავინ იცის, რა უნდოდა ბატონ ხინჩიგაშვილს მოსკოვში ქართველის ასეთი სასტიკი მკვლელობის შემდეგ. ასეთი პოლიტიკოსებითაა ხელისუფლება დაკომპლექტებული.

– 30 დეკემბერს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო შეიკრიბება. გავრცელებული ინფორმაციით, კახა კუჭავა და ეკა ტიკარაძე უნდა გარიცხონ პოლიტსაბჭოდან, როგორც პარტიიდან წასული პირები.

– პაიკების გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება. არაფერი სიახლე და სასიკეთო ქართველი ხალხისთვის არ იქნება. კუჭავა შედარებით მორიდებული პირი იყო, მაგრამ, რა მერე?!

ივანიშვილს პიროვნებები, რეიტინგული, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკოსები არ სჭირდება. მას უნდა მის წინაშე ანგარიშვალდებული, უსახელო ხალხი, რომლებსაც არავის და არაფრის წინაშე არ გააჩნიათ არც ვალდებულება და არც პასუხისმგებლობა. მხოლოდ ბელადის წინაშე ვალდებულება და პასუხისმგებლობა განსაზღვრავს ყველაფერს.

– ძველი სახეები, რომლებიც ამდენი ხანი არიან ხელისუფლებაში, რომლებსაც შეიძლება იმიჯი დაზიანებული აქვთ, გამარჯვებას მოუტანს?

– რობოტები სჭირდება და სხვა არავინ. რამდენიმე მოლაპარაკე თავი ეყოლება და თვითონაც, თავისი პირადი რეიტინგი, თუ ასეთი შემორჩა, იმუშავებს. ივანიშვილს ცეცხლივით ეშინია რეიტინგული ფიგურების. ხომ ხედავთ, ყველა მოიშორა და ურეიტინგო ხალხი დაიტოვა.

– მის თეატრში გამოჩენას მითქმა-მოთქმა მოჰყვა, პოლიტიკაში ხომ არ ბრუნდება. აქტიურად ჩაერთვება არჩევნებში?

– რა თქმა უნდა! სხვა რა ძალა აქვს. გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რომ ისევ მოიგოს არჩევნები. ყველაფერზე წავა, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ძალიან უჭირს „ოცნებას“, ამიტომ ეცდება, ისევ საკუთარ თავზე აიღოს ყველაფერი.

– „ოცნებას“ უჭირს?

– დიახ, ძალიან უჭირს. ხალხს, იმედია, მასობრივი სკლეროზი არ დამართნია. ტოტალური კორუფცია, ტოტალური უმუშევრობა, ასეთი დაბალი პენსია, გაძვირებული ცხოვრება, რუსების მასობრივი ჩამოსახლება, ასეთი ემიგრაციის მაჩვენებლები, დაბალი ცხოვრების დონე და რა, ისევ „ოცნება“?! ეს შეუძლებელია. იმედი მაქვს, ამომრჩეველი იქნება ძალიან აქტიური. თუ მაღალი აქტივობა იქნება, ივანიშვილი ვერაფერს გახდება და „ოცნება“ ამ არჩევნებში დამარცხდება. ეს იქნება დასასრული მსხვილი, თავკომბალა, ერთპარტიული მმართველობის. ამომრჩეველმა აქცენტი წვრილ-წვრილ პარტიებსა და მრავალპარტიულობაზე უნდა გააკეთოს. კოალიციურმა მმართველობამ უნდა გამოიყვანოს ეს ქვეყანა ამ კრიზისიდან.

სამართალი

ემიგრანტი ქალის თქმით, მას პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებენ



იტალიაში, ემიგრაციაში მყოფი ქალი, რომლის იდენტიფიცირებასაც მისივე თხოვნით არ ვახდენთ, გვიყვება, რომ ყოფილი პარტნიორი, 71 წლის ქართველი კაცი, ფულის გამოძალვის მოტივით, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალით აშანტაჟებს. როგორც ემიგრანტი ქალი, პირობითი სახელით „ეკა“, ამბობს, მათ ერთმანეთთან 10-წლიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

ქალი გვიყვება, რომ მამაკაცმა, რომელსაც პერიოდულად ხვდებოდა, ფულის მოთხოვნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ემიგრაციაში სამუშაოდ წავიდა. ქალის მონაყოლით, ყოფილი პარტნიორი მას შვილებითაც ემუქრება – თუ ფულს არ ჩაურიცხავს, სექსუალური შინაარსის ვიდეომასალას არასრულწლოვან ბავშვებს აჩვენებს.

ყოფილი პარტნიორისგან მუქარის შემცველ ხმოვან შეტყობინებებს „ეკა“ ბოლო პერიოდში ხშირად იღებს.

ემიგრაციაში მყოფი ქალი გვიყვება, რომ აქამდე ამ ამბის გასაჯაროებისგან თავს იკავებდა, თუმცა ახლა აპირებს ყოფილი პარტნიორის წინააღმდეგ მუქარისა და შანტაჟისთვის სარჩელი პოლიციაში შეიტანოს. მის ინტერესებს ქუთაისში ადვოკატი ალექსანდრე სარაჯიშვილი დაიცავს.

საპირისპიროს ამტკიცებს 71 წლის კაცი. ის სატელეფონო საუბარში გვიყვება, რომ ყოფილ პარტნიორს ემიგრაციაში წასასვლელად ფინანსურად თავად დაეხმარა, მის შვილებზეც დღემდე ზრუნავს, ქალი კი მას ცილს სწამებს. 10-წლიანი ურთიერთობის შემდეგ სამართლებრივი დავის დაწყებას არც თავად გამორიცხავს.

„მთავარი არხის“ ეთერში ანონსის გასვლის შემდეგ, მამაკაცი ისევ დაუკავშირდა ქალს და უთხრა, რომ აღარ დააშანტაჟებს და სთხოვა სამართალდამცველების გარეშე მოგვარდნენ.

თბილისის მერიასთან ევროკავშირის დროშის დაწვის გამო, „ალტ ინფოს“ წევრი ირაკლი მარტინენკო დააჯარიმეს, ხოლო ზურაბ მახარაძის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო

თბილისის მერიასთან ევროკავშირის დროშის დაწვის გამო, „ალტ ინფოს“ ბაზაზე შექმნილი „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერი ირაკლი მარტინენკო დააჯარიმეს, ხოლო ზურაბ მახარაძის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ადმინისტრაციულად შედგენილი მასალები შეტანილი იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

– თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ, ევროკავშირის დროშის დაწვის ფაქტზე, დაჯარიმებულია 1 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე 18 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მეორე პირის მიმართ დაწყებულია ადმინისტრაციული საქმის წარმოება 174-ე 18 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რაც გულისხმობს იგივე ქმედების განმეორებით ჩადენას. ადმინისტრაციულად შედგენილი მასალები შეტანილი იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოში, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში.

ბოლნისში კაცმა ცოლს თავი იძულებით გადაპარსა და ვიდეოკადრები გაავრცელა

ბოლნისში 40 წლის კაცმა ცოლს ორი შვილის თვალწინ თავი გადაპარსა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ძალადობის ამსახველი კადრები კი ტელეფონით გადაიღო და თანასოფლელებს გაუგზავნა. მოგვიანებით ვიდეო სოციალურ ქსელშიც გავრცელდა.

ტელეკომპანია „მთავრის“ ცნობით, ძალადობაში ეჭვმიტანილი კაცი უკვე დაკავებულია, ბრალს კი სავარაუდოდ დღეს წარუდგენენ.

ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი 19 წლის ქალია, რომელიც, მეზობლების თქმით, ძალადობის შემდეგ სახლიდან გააგდეს.

– რის გამო მოქცა ასე ცოლს, არ ვიცი, მაგრამ ქმარი უკვე დააკავეს, ცოლი კი არ ვიცი ახლა სად არის. გავიგე, რომ სახლიდან გაუგდიათ, – ამბობს ერთ-ერთი თანასოფლელი.

„ქურდი ფოლადას“ სახელით გელაპარაკები... საფლავი გაითხარე“

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით 1964 წელს დაბადებული შ.კ. დაკავეს.

ამავე ბრალდებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრალი წარედგინა 1981 წელს დაბადებულ ი.შ.-ს. ხოლო, „ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე, ბრალი დაუსწრებელად წარედგინა ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილ 1993 წელს დაბადებულ ე.მ.-ს. დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით რამდენიმე დანაშაულებრივი ეპიზოდი გამოიკვეთა, კერძოდ, ბრალდებულები „კანონიერი ქურდების“ და კრიმინალური ავტორიტეტის სახელით უკავშირდებოდნენ სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობაში ჩართულ პირებს და „ქურდული წილის“ სახით სთხოვდნენ თანხის გადახდას.

ასევე, დაზარალებულებს, დაშინების მიზნით, თვალთვალის შედეგად გადაღებულ ფოტოებს უგზავნიდნენ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

რეგიონი

ახმეტაში მშობიარე გარდაიცვალა

ახმეტაში ახალგაზრდა ქალს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა, თუმცა, მეორე დილით ის მოულოდნელად დაიღუპა. ქალის გარდაცვალების ფაქტს, ახმეტის ჰოსპიტალში ადასტურებენ. საავადმყოფოს ხელმძღვანელი, გიორგი უძილაური განმარტავს, რომ გარდაცვალების მიზეზი,

მშობიარობიდან რამდენიმე საათში განვითარებული თრომბოემბოლია გახდა.

– საკეისრო კვეთის შემდეგ თავს კარგად გრძნობდა, პაციენტი იყო კონტაქტური, აქტიური. მეორე დღეს, ერთ-ერთი წამოდგომის დროს განვითარდა თრომბოემბოლია. უსწრაფესად დავიწყეთ რეანიმაციული ღონისძიებები, მაგრამ გადარჩენა ვერ მოხერხდა. ეს ისეთი გართულებაა, მისი პროგნოზირება შეუძლებელია. ბავშვი კარგად არის, გავწერეთ დღეს და ყველა საქმის კურსშია, უბნის პედიატრიც და სოციალური სამსახურიც. შეტყობინება მშობიარის გარდაცვალების შესახებ, უკვე გადავაგზავნეთ და საკითხს შეისწავლიან, – განაცხადა უძილაურმა.

გარდაცვლილ ქალს სამი მცირეწლოვანი შვილი, ორი ვაჟი და ერთი გოგონა დარჩა. მისი ახლობლები და ოჯახის წევრები მედიასთან კონტაქტზე უარს ამბობენ. კანონის თანახმად, სამედიცინო დაწესებულება, სადაც მშობიარეს გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდება, ვალდებულია 24 საათის განმავლობაში აცნობოს ჯანდაცვის სამინისტროს, რის შემდეგაც მომხდარის მიზეზებს რეგულირების სააგენტო სწავლობს.

კახეთში ქარმა სახლებს სახურავები გადახადა, მოგლეჯილია ხეები

ყვარელსა და მიმდებარე სოფლებში ძლიერმა ქარმა 10-მდე საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა. ქარმა ახმეტისა და ლაგოდეხის ზოგიერთ სოფელში მრავალწლიანი ხეები მოგლიჯა და ცენტრალური მაგისტრალები ჩახერგა.

დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც აბონენტების ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

უამინდობის გამო ვაზიანი-გომბორი-თელავის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა ნაწილობრივ აიკრძალა

რთული ხილვადობის და უამინდობის გამო ვაზიანი-გომბორი-თელავის მიმართულებით ავტოსატრანსპორტო მოძრაობა ნაწილობრივ აიკრძალა.

როგორც კახეთის საგზაო სამმართველოში განაცხადეს, ამ მონაკვეთზე ძლიერი ქარბუქია, რის გამოც, გადაადგილება დროებით შეიზღუდა.

თუმცა, ადგილზე მობილიზებულია მძიმე ტექნიკა და მიმდინარეობს გზის გაწმენდა.

ასევე, შუამთის მონასტერთან მობილიზებულია საპატრულო პოლიცია, რომელიც ამ მიმართულებით ავტომობილების გადაადგილებას აკონტროლებს.

რუსთავში ძლიერმა ქარმა ხე წააქცია

ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა რუსთავში – ბათუმის ქუჩაზე ერთ-ერთ სკვერში ქარმა ხე მოგლიჯა.

შედეგად არავინ დაშავებულა.

უამინდობაა თბილისშიც. რამდენიმე უბანში ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა. სამგორის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ძლიერი ქარის შედეგად, ხე წაიქცა.

„რეკომენდაციები 100% უნდა შეასრულოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა და მითქმა-მოთქმა მის გარშემო

გასულ კვირაში ბევრს საუბრობდნენ ბიძინა ივანიშვილზე. ამის უპირველესი საბაბი გახდა მისი გამოჩენა საჯარო სივრცეში. „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი მეუღლესთან ერთად ოპერის თეატრში კულტურულ ღონისძიებას დაესწრო. მას არავითარი კომენტარი, მით უმეტეს, პოლიტიკაზე, არ გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი აქტიურ საჯარო პოლიტიკაში მესამედ ბრუნდება.

ეს ეჭვები გაამყარა ბიძინა ივანიშვილის სახელის არაერთგზის ხსენებამაც პრემიერის ანგარიშის დროს. პრემიერმა ღარიბაშვილმა თავის წლიურ ანგარიშში ხაზი გაუსვა ბიძინა ივანიშვილის დამსახურებებს.

კომენტატორების ნაწილის აზრით, ივანიშვილი აქტიურ პოლიტიკაში არ ბრუნდება, მის სახელს „ქართული ოცნება“ ელექტორალური მიზნებით იყენებს. ანალიტიკოსებმა არ გამორიცხეს, რომ ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნოდ კიდევ გამოჩნდეს და ამით წაეხმაროს „ქართულ ოცნებას“.

გამოითქვა ასევე მოსაზრება, რომ ბიძინა ივანიშვილი საარჩევნოდ გამოხატავს პოლიტიკურ სიმპათიებს სხვა პოლიტიკური სუბიექტის მიმართ.

პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი თავის წლიურ ანგარიშში სხვა საკითხებთან ერთად შეეხო ომისა და დესტაბილიზაციის თემებს.

პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი:

– საფრთხე იყო საკმაოდ რეალური. ეს არ იყო მოგონილი. იყო საფრთხე ქვეყნის დესტაბილიზაციის. ქვეყნის შიგნით მოქმედი რადიკალური ჯგუფები და მტრული ძალები პირდაპირ იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ ქვეყანა ჩაბმულიყო ამ საომარ ვითარებაში. ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც შეიძლება ერს, ჩვენს ხალხს და ქვეყანას დაატყდეს თავს, არის ომი. ეს ყველაზე დიდი განსაცდელი თავიდან ავარიდეთ და ავირიდეთ. ავიცილეთ ომი და მშვიდობიანად, გონივრულად და მტკიცედ გავიყვანეთ ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოზე. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს რისკები მთლიანად არის განეიტრალებული. ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილითა და გონიერებით ვაფასებთ რისკებს, ვახდენთ საფრთხეების იდენტიფიცირებას, შესაბამის პრევენციებს ვახორციელებთ.

პრემიერის ანგარიშს კრიტიკული კომენტარები მოჰყვა. ოპონენტები განსაკუთრებული სიმწვავით გამოეხმაურნენ ირაკლი ღარიბაშვილის გამონათქვამებს ეკონომიკურ წინსვლაზე, უმუშევრობის შემცირებასა და საყოველთაო კეთილდღეობაზე.

„ევროოპტიმისტების“ საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარე რომან გოცირიძე:

– უმუშევართა რაოდენობა შემცირდა იმის ხარჯზე, რომ ყოველ წელს ქვეყანას 100.000 მოქალაქე ტოვებს. 10 წლის განმავლობაში ეკონომიკა ისედაც გაიზრდებოდა. შევარდნაძის დროს რომ შეადაროს, კიდევ უფრო დიდ სურათს მიიღებს. მთავრობაც რომ არ არსებობდეს, ეკონომიკა თავისით მაინც გაიზრდება. ჯერ ერთი, ამ ნაზარდს ვინ ითვისებს? თუ იზრდება, რატომ არიან ადამიანები ღატაკები? ყველა ციფრის უკან „ქართულ ოცნებასთან“ და ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პორტრეტები იძებნებიან. ნებისმიერი რიცხვის უკან არის „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის ინტერესები. ბიუჯეტში ფული არ შეაქვთ, წურბელასავით აზიან.

პრემიერის ანგარიში გააკრიტიკა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „თაობები საქართველოსთვის“ (შოთა შალელაშვილი).

პარტიის შეფასებით, ღარიბაშვილის გამოსვლა წარმოადგენდა „თავის ქებას, დაპირებებს, არასწორ ინფორმაციას“.

– არ იყო გათვალისწინებული ინფლაცია, არ იყო ნახსენები არც ერთი პრობლემატური საკითხი, არ იყო გამოხატული არც ერთი სინანული რომელიმე დაშვებულ შეცდომაზე. ისევ იყო მუდმივად დატოლება და დაძრახვა იმ ხელისუფლების, რომელიც 11 წლის წინ ჩაანაცვლეს, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

❖ ❖ ❖

14 დეკემბერს საქართველოს ოფიციალურად მიენიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. იმისთვის, რომ შემდგომ ეტაპზე გადავიდეს, ქვეყანამ უნდა შეასრულოს ევროკომისიის მიერ შემუშავებული 9 რეკომენდაცია.

ოპტიმისტი კომენტატორები ვარაუდობენ, რომ საქართველო ამ მიმართულებით უკრაინასა და მოლდოვას დაეწევა და გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებში სამივე ქვეყანა ერთად ჩაებმება.

ყოფილი ელჩი გიგი გიგიაძე მიიჩნევს, რომ საქართველო უარესი სცენარისთვისაც უნდა მოემზადოს. მისი ვარაუდით, შეიძლება საქართველოს შეფასება მომავალ წელს ცალკე მოხდეს, რაც „რეალობას ცვლის“.

– უნდა გამოვიდეთ ყველაზე უარესი შემთხვევიდან. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო წელს უკვე აღარ იქნება ისეთი ხელსაყრელი პირობები საქართველოსთვის, როგორიც იყო გასული 20 თვის განმავლობაში. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპაში მომდევნო წელს იქნება არჩევნები, რომლის შედეგად შეიქმნება ახალი კომისია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტენდენციები იცვლება ევროკავშირში, რამდენიმე ქვეყანაში იქნება არჩევნები და უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია, გაფართოების მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები გაძლიერდეს ევროკავშირში. ამიტომ რჩება მნიშვნელოვნად, რომ ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენოთ სრულიად უნიკალური შესაძლებლობა. ამისათვის ახლა აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ უკვე 100% შეასრულოს ის 9 რეკომენდაცია, რომელიც ჩვენ განგვისაზღვრა ევროკავშირის კომისიამ, – აღნიშნა გიგი გიგიაძემ.

მმართველი გუნდი აცხადებს მზადყოფნას, მომავალი წლის განმავლობაში შეასრულოს დადგენილი რეკომენდაციები.

ამასთან, კამათის თემად რჩება რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშავე კომისიებში ოპოზიციის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

პარლამენტის უმრავლესობის წევრი ირაკლი ზარქუა იმედოვნებს, რომ ოპოზიცია „გონს მოვა“ და „სამუშაო პროცესში ჩაერთვება“.

– როგორც მაშინ მოვუწოდებდით, რომ ჩართულიყვნენ, ახლაც იგივე განწყობა გვაქვს. მე დიდად არ მჯერა, რომ ეს რადიკალები ჩაერთვებიან. მათი ამოცანა და გეგმა სულ სხვა არის. კიდევ ერთხელ მივცემთ შესაძლებლობას, რომ გონს მოეგონ. იქნებ, მათმა დამკვეთებმაც გაიგონ, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია არ გამოვა, – განაცხადა ზარქუამ.

ოპოზიციის ნაწილი ისევ აპროტესტებდა იმას, რომ ხელისუფლებამ 9 რეკომენდაციის შესასრულებელი გეგმა არ გაახმოვანა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი პაატა მანჯგალაძე ასახელებს სამუშაო ჯგუფებში შესვლის პირობებს.

– თუ „ქართული ოცნება“ გულწრფელად გამოვა და იტყვის, რომ ოლიგარქია არის ევროპისთვის შეუთავსებელი მმართველობის ფორმა, ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი და ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, მაშინ პირობას ვდებ, რომ ამ სამუშაო ჯგუფებში შევალ. სინანული უნდა გამოხატონ იმიტომ, რომ 1 წლით ჩამოვრჩებით მოლდოვას, რომელიც ჩვენზე უკან იყო. თუ იტყვიან, ჩვენი ბრალია, ჩვენ ავაცდინეთ სტრატეგიული ხაზი ევროპასო, შევალ. თუ იტყვიან, ანტიდასავლურ რიტორიკას ვეწეოდით, ამიტომ შევქმენით „ხალხის ძალა“ და მავნებლობას ვაკეთებდითო, მივიღებ მონაწილეობას, – აღნიშნა მანჯგალაძემ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ გამოთქვა რეკომენდაციების შესასრულებელი გეგმის გასაჯაროების სურვილი.

ამასთან, მან აღნიშნა:

– გასაიდუმლოებული არაფერი არ არის სამოქმედო გეგმაში. არის მარტივად გაწერილი თითოეული პუნქტი, არის 9 პრიორიტეტი და ცხრავე პრიორიტეტის გასწვრივ მითითებულია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი სუბიექტები და ვადები.

წინა კვირაში გავრცელდა ვენეციის კომისიისა და ეუთოოდირის შენიშვნები. ისინი ეხება 9 პრიორიტეტით განსაზღვრულ საკითხებს. მათ შორის, კორუფციასთან ბრძოლას და საარჩევნო კანონმდებლობას. ვენეციის კომისიის განსაკუთრებული შენიშვნების საკითხი გახდა უკვე არსებული ანტიკორუფციული ბიურო, რომელსაც, კომისიის დასკვნით, დამოუკიდებლობის ნიშნები არ ეტყობა.

ევროპელი სპეციალისტების დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა, რაჟდენ კუპრაშვილმა გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. მას კორუფციაში არ უმხელია არც ერთი მაღალჩინოსანი.

❖ ❖ ❖

უარი მაგნიტსკის სიის გახანგრძლივებაზე

წინა კვირაში საქართველომ უარი თქვა, მხარი დაეჭირა მაგნიტსკის სიის გახანგრძლივებისთვის. ამის მიზეზად დასახელდა ცნობილი ფინანსისტის, ბრაუდერის დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ, ასევე საქართველოს მიერ არჩეული სასანქციო პოლიტიკა.

უილიამ ბრაუდერი იმ საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული დაღუპულ რუს აუდიტორ სერგეი მაგნიტსკისთან. მას ეკუთვნის მწვავე განცხადებები სააკაშვილის თაობაზე. ამერიკული ფარას მონაცემებით, ბრაუდერი ფინანსდებოდა, როგორც სააკაშვილის ლობისტი. ამ განმარტების გარდა, საქართველოს მმართველი გუნდი ამ თემაზე ზოგადად სანქციების პოლიტიკის კუთხითაც ლაპარაკობდა.

– სანქციებთან დაკავშირებით ჩვენი პოლიტიკა ცნობილია. რუსეთის მიმართ სანქციებს არ ვუერთდებით. ამ პოლიტიკამ მოგვიტანა სტატუსი, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა.

❖ ❖ ❖

სააკაშვილის ინიციატივა და გახარიას პარტიის მოთხოვნა

სასამართლო პროცესზე მორიგი ჩართვისას ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოაყენა ერთობისა და მოქმედების ერთიანი კომიტეტის შექმნის იდეა. გაცხადდა, რომ დაახლოებით 25-კაციან კომიტეტში ნაციონალური მოძრაობის ლიდერების გარდა, გათვალისწინებულია საზოგადოების ცნობილი სახეებისა და დიასპორის წარმომადგენლების მოზიდვა. საკითხზე პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა.

მკაცრი იყო გახარიას პარტიის („საქართველოსთვის“) შეფასებები არა მხოლოდ ამ ინიციატივაზე, არამედ, პატიმარ სააკაშვილის პოლიტიკურ აქტიურობასა და ნაციონალური მოძრაობის ხელშეწყობაზე. პარტიის წევრებმა კიდევ ერთხელ დაგმეს სააკაშვილისთვის პოლიტიკური ტრიბუნის დათმობა სასამართლოს სხდომებზე ჩართვისას. პარტიამ ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილისათვის სააგიტაციო პირობების შექმნისათვის გააკრიტიკა მმართველი პარტია, სასამართლო ხელისუფლება და მოითხოვა სააკაშვილის საპატიმროში გადაყვანა. გახარიას პარტიის წევრებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ თუ სააკაშვილი ჯანმრთელია, ის კლინიკიდან ციხეში უნდა დააბრუნონ.

– მიმდინარეობს ნაცმოძრაობის გადარჩენის და ხელახალი გაერთიანების სპეცოპერაცია, რომლის ორგანიზატორია „ოცნება“, – განაცხადეს პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლებმა.

გახარიას პარტიის ეს აქტივობა გაკიცხეს როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე ნაცმოძრაობის აქტივისტებმა.

❖ ❖ ❖

ევროკავშირის დროშის დაწვა თბილისის ცენტრში

ანტიდასავლური არხის, ალტ ინფოს თანამშრომლებმა ზურაბ მახარაძემ და ირაკლი მარტინენკომ, რომლებიც იმავდროულად კონსერვატიული მოძრაობის ლიდერები არიან, 22 დეკემბერს ჩამოხსნეს და დაწვეს დედაქალაქის მერიასთან აღმართული ევროკავშირის დროშა. ამის გამო ისინი დააკავეს.

ამგვარი აქტი ალტ-ინფოს აქტივს ადრეც ჩაუდენია. ამჯერად ქმედების საბაბად დასახელდა სოლიდარობა თანამოაზრე ლაშა შარუხიას მიმართ. ლაშა შარუხიამაც ევროკავშირის დროშა დაწვა.

ეკონომიკა

ვინ აშენებს ვერეს ხეობაში 190 მეტრამდე სიმაღლის ცათამბჯენებს?

თამარაშვილის ქუჩასა და მდინარე ვერეს შორის, გაერთიანება „სამთო ქიმიასა“ და „საქჰიდროენერგომშენის“ მშენებარე სახლის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან, აღნიშნული პროექტის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაზე თანხმობა 2023 წლის ნოემბერში გაიცა.

პროექტის დამკვეთს შპს „იქსორი თამარაშვილზე“ წარმოადგენს, რომელსაც დაგეგმილი აქვს, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციური სახეობების განვითარება: საცხოვრებელი, სასტუმრო, კომერციული, საზოგადოებრივი თავშეყრის, გასართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და აღნიშნული სახეობებისთვის საჭირო დამხმარე ფუნქციების განვითარება.

გეგმის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ფართობია 10.841 კვ.მ; საიდანაც 1.100 კვ.მ უკავია საჯარო სარგებლობის კეთილმოწყობილ რეკრეაციულ სივრცეს და მხოლოდ 8.600 კვ.მ-ზე ხდება დაგეგმილი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა.

დოკუმენტის თანახმად, სამი კოშკისგან შემდგარ მრავალფუნქციურ კომპლექსში, საცხოვრებელი სექტორის ჯამური ფართობი თავმოყრილია (A და B კოშკებში) და შეადგენს საპროექტო მოცულობის 85%-ს. პირველადი მონაცემებით, საპროექტო მოცულობების სიმაღლეები მერყეობს 80 მეტრიდან – 190 მეტრამდე.



რაც შეეხება დამკვეთ კომპანიას, რეესტრის მონაცემებით, „იქსორი თამარაშვილზე“ 80%-იან წილს შპს „იქსორი“, ხოლო 20%-ს გიორგი ტაბატაძე ფლობენ. თავის მხრივ, „იქსორის“ 40%-იანი წილი ვალერიან კირკიტაძეს, 30-30%-იანი წილები კი ალექსანდრე წულუკიძისა და ლევან ტურძილაძის საკუთრებაშია. ამასთან, ორივე კომპანიის დირექტორად რეესტრში ვალერიან კირკიტაძეა რეგისტრირებული.

აღსანიშნავია, რომ „იქსორის“ სამივე მფლობელი მმართველი პარტიის „ქართული ოცნებისა“ და პრეზიდენტობის მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის შემომწირველია. კერძოდ, ლევან ტურძილაძის მხრიდან 2020 წელს „ოცნების“ სასარგებლოდ 30 ათასი ლარის შემოწირულობა ფიქსირდება, ალექსანდრე წულუკიძემ 2020 წელს „ქართულ ოცნებას“ 50 ათასი, ხოლო 2018 წელს სალომე ზურაბიშვილს 22 ათასი ლარი შესწირა, ვალერიან კირკიტაძის მხრიდან კი 2018 წელს სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ 24 ათასი ლარის შემოწირულობა ფიქსირდება.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ ვალერიან კირკიტაძე (მთაწმინდის რაიონის გამგეობის თანამშრომელთან ერთად) 2014 წელს ქრთამის მიცემის სავარაუდო საქმეზე იყო დაკავებული. მაშინ ის სამშენებლო კომპანია „ბულაჩაურის“ დირექტორი იყო და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მაშინ მთაწმინდის რაიონის გამგეობის თანამშრომელმა კირკიტაძისგან მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, კერძოდ, კ2 კოეფიციენტის უკანონო გაზრდისთვის, ქრთამის სახით 2.500 აშშ დოლარი აიღო.

ნოემბერში საქართველოს შაქრის იმპორტი გაუძვირდა

ნოემბერში საქართველოს შაქრის იმპორტი წლიურად 40%-ით, ერთი თვის განმავლობაში კი 8%-ით გაუძვირდა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, შესაძლოა, იყოს მსოფლიო ბაზარზე პროდუქციაზე ფასის მატება, მეორე მხრივ კი, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწესებული ის რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში შაქრის იმპორტზე დამატებითი გადასახადი დაწესდა.

ცნობისათვის, მთავრობის დადგენილებით, 20 ნოემბრიდან 100 კგ-ზე მეტი ოდენობის შაქრის იმპორტისას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმება 1 კილოგრამზე 40 თეთრით განისაზღვრა. ანუ, ყოველი ერთი ტონა შაქრის იმპორტის გადასახადი 400 ლარი გახდა. აღნიშნული დადგენილება 2024 წლის 1-ელ ივლისამდე იმოქმედებს.

საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის ნოემბერში საქართველოში შემოვიდა 4.256 მლნ დოლარის ღირებულების 5.424 ტონა შაქარი, ანუ კილოგრამის ფასი საშუალოდ 78 ცენტი იყო. ოქტომბერში 9.668 ტონა შაქარში ქვეყანამ 7.015 მლნ დოლარი გადაიხადა, ანუ კგ-ში საშუალოდ 72 ცენტი. 2022 წლის ნოემბერში კი იმპორტირებული ერთი კილოგრამი შაქრის ღირებულება საშუალოდ 56 ცენტს შეადგენდა. წინა წლის ნოემბერში ქვეყანამ 10.758 მლნ დოლარის ღირებულების 19.273 ტონა შაქარი იყიდა. შედეგად გამოდის, რომ საქართველოს 2023 წლის ნოემბერში წლიურად შაქრის იმპორტის ღირებულება 40%-ით, ერთი თვის განმავლობაში კი 8%-ით გაუძვირდა.

რაც შეეხება საერთო მაჩვენებელს, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველომ უცხოეთში 88,059 მლნ დოლარის ღირებულების 128.207 ტონა შაქარი იყიდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი, 80.573 მლნ დოლარის ღირებულების 138.696 ტონა.

რატომ დატოვა დავით მიქელაძემ მშვენიერი ქალები გაუთხოვრად?

ულამაზესმა არისტოკრატმა ქალბატონებმა — ბაბილინა წულუკიძემ და ბაბო ბაგრატიონმა თავიანთი ტრაგიკული სიყვარული ერთადერთ მამაკაცს, დავით მიქელაძეს შესწირეს. გვესაუბრება გენეალოგიური კვლევების ავტორი იური ჩიქოვანი.

ისტორიულად თავადი მიქელაძეები სამტრედიასთან ახლოს მდებარე სოფელ კულაშიდან არიან. დავით კონსტანტინეს ძე მიქელაძე დაიბადა 1867 წლის 10 ნოემბერს. თანამედროვეთა მოგონებით, დავით მიქელაძე ჭკუა-გონებით გამორჩეული, ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. განსაკუთრებით თვალში მოსახვედრი იყო მისი გარეგნობა, ახოვანი, ვაჟკაცური იერი. გაცნობისთანავე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზე, მის დანახვაზე კი ქალბატონებს თურმე სუნთქვა ეკვროდათ. ეს კაცი ორ მზეთუნახავს, ბაბო ბაგრატიონსა და ბაბილინა წულუკიძეს, ისე ჰყვარებიათ, რომ უიმისოდ ცხოვრებას სამუდამოდ მარტოობა ამჯობინეს. სიყვარულისგან ხალხი არ კვდება, ამ ქალებს რა დაემართათ, რა ცეცხლი დაუნთო ამ კაცმა, რომ გათხოვებაზე უარი თქვეს, მიკვირს.

❖ ❖ ❖

ბაბო ბაგრატიონი ივანე მაჩაბლის ცოლის, ტასო მაჩაბლის და გახლდათ. ტასო ქალიშვილობაში დავითაშვილ-ბაგრატიონის გვარს ატარებდა. ამ სიყვარულმა დააჭლექა და ლოგინად ჩააგდო. ბაბო ბაგრატიონი აკაკი წერეთლისა და ინგლისელი ქართველოლოგების მარჯორი და ოლივერ უორდროპების მეგობარი იყო. დის ბედით გულშეღონებული ტასო მაჩაბელი ემუდარებოდა უორდროპებს – ბაბოს ხშირად მისწერეთ, იქნებ თქვენმა ნუგეშმა რაიმე უშველოსო. თუმცა, ვერაფერმა უშველმა, ის სიყვარულმა მოკლა.

ბაბო განათლებული, ნიჭიერი ქალი ყოფილა, იცოდა უცხო ენები, განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგში. როგორც ცნობილია, ის იქ ეხმარებოდა ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს. სხვათაშორის, არც ტასო მაჩაბელი ყოფილა ბოლომდე ბედნიერი. მოულოდნელად გაუჩინარებულ მეუღლეს, ივანე მაჩაბელს ტასო დიდხანს ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ. ის დაუღალავად რეაგირებდა საზოგადოებაში არსებულ ყველა მითქმა-მოთქმაზე ივანეს გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ამოწმებდა ყველა დეტალს, მაგრამ ვერაფერი გაარკვია.

❖ ❖ ❖

მაჩაბლის გაუჩინარებას აკაკი წერეთელსაც უკავშირებდნენ

ტასო მაჩაბელი გახლდათ აკაკი წერეთლის პოეზიის მუზა. ის აკაკიზე ბევრად უმცროსი იყო, მაგრამ მისმა სილამაზემ და განსაკუთრებით შინაგანმა მშვენიერებამ მოხიბლა დიდი მგოსანი. გარდა ამისა, მათ ნათესაობაც აკავშირებდათ. ბაბოსა და ტასოს უფროსი და, ნიცა ცოლად ჰყავდა თავად ბეჟან წერეთელს. ბეჟანი აკაკის უახლოესი ნათესავი იყო და დიდი მგოსანი ხშირად სტუმრობდა მის ოჯახს.

ბაბილინა წულუკიძეც არ გათხოვილა, იგი ბოლომდე დავით მიქელაძის ერთგული დარჩა. ეს ქალბატონიც თავის დროზე სწავლობდა პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ასწავლიდა რუსულ და უცხო ენებს.

დავით მიქელაძის ცოლობა ბედმა ელისაბედ ნიჟარაძეს არგუნა, ქალს, რომელსაც სახეზე ჰქონდა წითელი ლაქა, მაგრამ მაინც ისეთი ლამაზი იყო, რუსი უფლისწული, შემდგომ კი იმპერატორი ალექსანდრე მეორე, ისე მოაჯადოვა, რომ სასახლის კარზე ქართველი ქალისა და რუსი უფლისწულის ქორწინებაზე ლაპარაკობდნენ. დავითი დაქორწინდა ელისაბედ ნიჟარაძეზე, თავად კონსტანტინე ნიჟარაძის ასულზე სოფელ მაღლაკიდან. ეს ქორწინება შედგა 1894 წლის 26 მაისს. ეყოლათ ორი ქალიშვილი: თამარი და ნინო. სამწუხაროდ, მათი ქორწინება 1903 წელს გაყრით დასრულდა. მათი ქალიშვილის, თამარის, პირველი მეუღლის სახელი უცნობია, ხოლო მეორე მეუღლე გახლდათ თავადი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი. თამარი გარდაიცვალა 84 წლის ასაკში 1979 წელს. რაც შეეხება მეორე ქალიშვილს, ნინოს, ის ცოლად გაჰყვა ვინმე აკაკი მგალობლიშვილს, რომელიც რეპრესიების დროს 1937 წელს დაიღუპა. თამარსა და ნინოს შორის სხვაობა იყო ერთი წელი.

პ.ს. დავითის გარდაცვალების თარიღი უცნობია, ხოლო მისი ყოფილი მეუღლე ელისაბედ ნიჟარაძე გარდაცვლილა 1918 წელს.

ბაბილინა წულუკიძე დაბადებულია 1861 წელს. იგი დავით მიქელაძეზე ექვსი წლით უფროსი ყოფილა. რაც შეეხება ბაბო ბაგრატიონს, ის დაბადებულა 1870 წელს, ბაბილინაზე ახალგაზრდა ბრძანებულა, თავად დავით მიქელაძეზე კი სამი წლით უმცროსი იყო. ბაბო გარდაიცვალა 1915 წელს, 45 წლის ასაკში.

მედიცინა

დედამ ანეკდოტის წყალობით შვილი კომიდან გამოიყვანა

აშშ-ში დედამ შვილი კომიდან იმის წყალობით გამოიყვანა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა, რომ ანეკდოტი მოუყვა.

მიჩიგანის შტატის ქალაქ ნაილსის მკვიდრი ჯენიფერ ფლიუელენი 2017 წლის 25 სექტემბერს ავტოავარიაში მოყვა. იმ დღეს ქალმა თავისი სამი შვილი სკოლაში მიიყვანა და შემდეგ სამსახურში მიდიოდა, როდესაც მოულოდნელად მანქანის მართვა დაკარგა და განათების ბოძს დაეჯახა. ამის შედეგად ქალი კომაში ჩავარდა და ხუთი წელი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქალის დედა პეგი მინსი მას მუდმივად აკითხავდა იმის იმედით, რომ ის ბოლოს და ბოლოს მდგომარეობიდან გამოვიდოდა.

2022 წლის აგვისტოში დედა შვილთან პალატაში იმყოფებოდა და გადაწყვიტა, უგონო მდგომარეობაში მყოფისთვის ანეკდოტი მოეყოლა. ქალი გაოგნებული დარჩა, როდესაც შვილის სიცილის ხმა შემოესმა. იმ მომენტში მინსი მიხვდა, რომ მისი ქალიშვილი კომიდან გამოვიდა.

– ის გონს მოვიდა, თუმცა არა ბოლომდე. ვერ ლაპარაკობდა, თუმცა თავს მიქნევდა, – ყვება მინსი.

მიუხედავად ექიმების არადამამშვიდებელი პროგნოზისა, გარკვეული დროის შემდეგ ჯენიფერი მომაგრდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო. ამ დროისთვის ქალი რამდენიმე სიტყვის თქმას და წამოჯდომას ახერხებს. უფრო მეტიც, მან მიმდინარე წლის ოქტომბერში ფეხბურთის მატჩზე დასწრებაც კი მოახერხა, რომელშიც მისი ერთ-ერთი შვილი მონაწილეობდა.

როგორ მოვიშოროთ მეჭეჭი

მეჭეჭი კანის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ხშირად უჩნდებათ ბავშვებს, ახალგაზრდებს. არჩევენ სხვადასხვა სახის მეჭეჭს: ბრტყელს, ჩვეულებრივს (სიჭაბუკის), მოხუცებულობის მეჭეჭს. დაავადება შეიძლება განვითარდეს კანის მცირე ტრავმების, ოფლიანობის შედეგად.

- ქრისტესისხლას ღეროს წითელი წვენის წასმა მეჭეჭებზე დღეში რამდენიმეჯერ აქრობს მას. ეს საშუალება არ იწვევს კანის დაზიანებას და ძლიერ ეფექტურია.
- თუ გსურთ, თავი დააღწიოთ მეჭეჭებს, შეეცადეთ ეს ასე გააკეთოთ: დააქუცმაცეთ ორი ლიმნის ქერქი, დაასხით 0,5 ჭიქა 30%-იანი ძმარი. დააყენეთ მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში 8 დღე. პერიოდულად შეანჯღრიეთ, შემდეგ გაწურეთ. ნაყენი დაიდეთ მეჭეჭზე მასში დასველებული ტამპონით დღეში რამდენჯერმე.
- ლეღვის ნაყოფის რძე-წვენს ისვამენ მეჭეჭებზე და ასე აქრობენ მას.
- ხახვის თავს დებენ ძმრის ესენციაში ან ძმარში 2 საათით და მის ფოთოლს იდებენ მხოლოდ მეჭეჭზე. პროცედურას რამდენჯერმე იმეორებენ, სანამ მეჭეჭი ძირიანად არ ამოვარდება.
- კალანხოე ოთახის მცენარეა. მის სქელ ფოთოლს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ მეჭეჭზე. ზოგჯერ მხოლოდ 3-4 პროცედურაა საჭირო მეჭეჭების მოსაცილებლად.
- სველ მეჭეჭზე ისვამენ ნიშადურის სპირტს, რომელიც სწრაფად აქრობს მეჭეჭს.
- ნაცარს ასხამენ წყალს არაჟნის კონსისტენციამდე და ისვამენ მეჭეჭზე. ეს საშუალება უხდება ბრტყელი მეჭეჭის ტიპს.

მამამ თავისი პატარა გოგონა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

აშშ-ში მამაკაცმა საკუთარი სიცოცხლის ფასად თავისი ორი წლის გოგონა გადაარჩინა.

უბედური შემთხვევა მიმდინარე წლის 7 დეკემბერს მოხდა. იმ დღეს კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის მკვიდრი ალონსო გარსია თავის პატარა გოგონა ლიზაბეტთან ერთად სეირნობდა, რომელიც საბავშვო ეტლში იჯდა. მამა-შვილი გზაზე გადადიოდა, როდესაც მამაკაცმა მათკენ სწრაფად მომავალი მანქანა შენიშნა. მან მოასწრო, ხელი ჰკრა ეტლს და გზას მოაშორა, მაგრამ თავად ავტომობილის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა.

გარსიამ მეტად მძიმე დაზიანებები მიიღო, მათ შორის ნეკნების, იდაყვის, ხელის მტევნის მოტეხილობები. ასევე, ჯვარედინი მყესების დაწყვეტა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ერთი დღე გაატარა.

– ის უბრალოდ ტიროდა და კითხულობდა, სად იყო ლიზი. სულ კითხულობდა: „ის წესრიგშია? რაიმე ტრავმა ხომ არ მიუღია? სად არის?“ – ყვება მისი და კარლა ალანისი.

მამაკაცი საავადმყოფოდან 8 დეკემბერს გამოწერეს. და ფიქრობდა, რომ მისი ძმა სახლში გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ როდესაც ორი დღის შემდეგ მივიდა სანახავად, აღმოაჩინა, რომ ის უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან დაუყოვნებლივ გამოიძახა სასწრაფო დახმარება, თავად კი, მათ მოსვლამდე მის რეანიმირებას ცდილობდა ხელოვნური სუნთქვის და გულ-მკერდის მასაჟის დახმარებით. ადგილზე მისულმა ექიმებმა ქალს განუცხადეს, რომ მისი ძმის გადარჩენას ვერ შეძლებდნენ.

ამ დროისთვის გარსიას ოჯახი დაღუპულის გაკვეთის შედეგებს ელოდება იმის გასარკვევად, შესაძლებელი იყო თუ არა მისი გადარჩენა. მძღოლი, რომელიც მამაკაცს მანქანით დაეჯახა, პასუხისგებაშია მიცემული მანქანის სახიფათოდ მართვისთვის, რომელიც მძიმე შედეგით დასრულდა.

ირემი ქალს სახლთან თავს დაესხა

ამერიკის კოლორადოს შტატში ქალს საკუთარ სახლთან ირემი დაესხა თავს და მძიმე დაზიანებები მიაყენა.

გარეული ცხოველი ქალაქ სილვერ-კლიფის მცხოვრებ 67 წლის ქალს თავს 16 დეკემბერს დაესხა. ქალის თქმით, ის სახლიდან გამოდიოდა, როდესაც შავკუდა ირემი შენიშნა. ის თავს დაესხა და მისი რქებზე წამოგება სცადა, თუმცა ქალმა მისი მოგერიება შეძლო. ქალი სახლში შევარდა და საშველად მეუღლეს უხმო. ამის შემდეგ დაშავებული ფეხებზე მიყენებული ჭრილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღნიშნული თავდასხმის შემდეგ ქალის სახლის ეზოში ორი ახალგაზრდა მამრი ირემი დაინახეს, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ. კოლორადოს პარკების და ბუნების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს და სახლთან ჩიტებისთვის მოწყობილი საკვების ჩასაყრელი ნახეს. ქალის თქმით, ირემთან შეხვედრამდე მცირე ხნით ადრე, მან ჩიტებს პურის ნამცეცები დაუყარა. დეპარტამენტის თანამშრომლები ფიქრობდნენ, რომ ირმებსაც უყრიდნენ საკვებს და ამის შედეგად მათ ადამიანების მიმართ შიში დაკარგეს და აგრესიულები გახდნენ.

თავდამსხმელი ირმის მიგნების შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია განხორციელდება, რათა შემდგომში მსგავსი ინციდენტის გამეორება გამოირიცხოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რა შველის

შარდის ბუშტის ანთებას

- კრაზანას 70 გრადუსიანი სპირტის ნაყენის მოსამზადებლად დაჭრილ ბალახს ასხამენ სპირტს 1/10 შეფარდებით (ერთი ნაწილი ბალახი, ათი ნაწილი სპირტი). მიიღეთ 30-40 წვეთის ოდენობით 1/2 ჭიქა წყალზე დღეში სამჯერ.
- 30 გრამ და უფრო მეტი რაოდენობის კრაზანას კვირტებს დაასხით 70 გრადუსამდე სიმაგრის 1 ლიტრი სპირტი. მიიღეთ დღეში სამჯერ 15-20 წვეთის ოდენობით 1 სუფრის კოვზ წყალში განზავებით.
- ხანგრძლივად სვით წითელიჭარხლის წვენი. კენჭები გაიხსნება ნელა, მაგრამ უმტკივნეულოდ.
- ჭარხალი(რამდენიმეცალი)ხარშეთ მანამდე, სანამ წყალი სქელ სიროფად არ გადაიქცევა.

სვით იგი 3/4 ჭიქა დღეში რამდენჯერმე. ეს სასმელი ასევე კარგად ხსნის კენჭებს.

- კატაბალახასძირებიკუნელიგვირილა, პიტნა, ხეჭრელას ძირები, აირის ძირები, წყლის იელი, ორკბილა, შროშანა, ასკილი, „პუსტირნიკი“. თითოეული 5 გრამი ჩაყარეთ 1,5 ლიტრ წყალში, აადუღეთ, იდუღოს 5 წუთს. შემდეგ დააყენეთ 8 საათს. სვით 100 გრამი 3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე. სვით გამოჯანმრთელებამდე.
- ნახევარი ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ კოწახურის ქერქს ან ფესვებს ასხამენ 1 ჭიქა მდუღარე წყალს. საჭიროების შემთხვევაში დღეში 2 ჭიქა გამონაწვლილს სვამენ.

ალერგიას

- ორგანიზმის რეაქციის შესაცვლელად რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაისა და ყავის ნაცვლად მიიღეთ ორკბილას ნაყენი.

ნაყენი ჩაის მსგავსად უნდა მოამზადოთ. 20 გრამ ორკბილას დაასხით 400 გრამი მდუღარე წყალი და გააჩერეთ, განურეთ და მიირთვით. სასურველია, იგი ყოველი დალევის წინ დავაყენოთ. ნაყენი ოქროსფერი უნდა იყოს. მღვრიე და მწვანე ფერის ორკბილას ნაყენი ძველია და შეიძლება მოგწამლოთ. სჯობს, ორკბილა თავად შეაგროვოთ და ბნელ ადგილას გაახმოთ.

- ერთი სუფრის კოვზი ჭინჭრის ფოთლები ჩაყარეთ ერთ ჭიქა ადუღებულ წყალში, გააჩერეთ ერთი საათი, გადაწურეთ. მიიღეთ ნახევარი ჭიქა 4-5-ჯერ დღეში, ერთი თვის განმავლობაში.
- აიღეთ თითო ჩაის კოვზი არყის ხის და სალბის ფოთლები, ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი კალენდულა და გვირილა. შეურიეთ ერთმანეთს. ნარევის სადილის კოვზს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე. დატოვეთ რამდენიმე წუთი, გაწურეთ. დალიეთ ეს ჩაი დღეში 2-3-ჯერ თბილ მდგომარეობაში. უზმოზე ან ჭამის წინ, შეიძლება თაფლთან ერთადაც. მკურნალობის კურსი ხამი კვირაა.
- ძლიერ სურდოვანი ალერგიის დროს უნდა გამოვიყენოთ იორდასალამის ქერქისა და ფესვის ფხვნილი. დღიური დოზა არის 10-12 გრამი. ფხვნილი აუცილებელია მივიღოთ ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. პრეპარატის რაოდენობის სიზუსტით დაცვა აუცილებელია. დოზების ცვლა დაუშვებელია. ბავშვებისათვის დოზა 6 გრამია დღეში. ალერგიული სურდოს დროს თუ ბავშვებისთვის ძნელია ფხვნილის მიღება, შეურიეთ მურაბას და ისე მიეცით ავადმყოფს.

2023, 25 დეკემბერი, №253



ბაიდენმა თავდაცვის ბიუჯეტს ხელი მოაწერა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ხელი მოაწერა თავდაცვის ბიუჯეტს. ის 880 მილიარდი დოლარისაგან შედგება.

რამდენიმე კვირით ადრე ბიუჯეტს მხარი დაუჭირა კონგრესმა.

რუს ექსპერტებს იმედები გაუცრუვდათ. აშშ-მ უკრაინისათვის დასახმარებელი თანხა გამოყო. რუსი პროპაგანდისტები არ მალავენ გაღიზიანებას.

აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ტრამპს უარი უთხრა



აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ უარი უთხრა ექსპრეზიდენტ ტრამპის ადვოკატებს, რათა მათი სარჩელი დაუყოვნებლივ განეხილათ. როგორც ცნობილია, კოლორადოს შტატის სასამართლომ ტრამპს არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა. ამის მიზეზი პრეზიდენტის მონაწილეობაა 2020 წლის მოვლენებში, როცა ტრამპისტების ეგზალტირებული ბრბო კონგრესში შევარდა.

რუსეთის დიქტატორმა პუტინმა აშშ-ის უმაღლეს სასამართლოს დადგენილებას უწოდა პოლიტიკურად ანგაჟირებული. პუტინმა განაცხადა, რომ ტრამპი დღეს ბაიდენზე ბევრად უფრო პოპულარულია და ბაიდენი თავისი პოპულარული კონკურენტის წინააღმდეგ ძალისმიერ ქმედებებზე გადავიდა.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.854; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.871; არტილერია – 8.286; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 611; თვითმფრინავები – 327. განადგურებულია 353.190 ოკუპანტი.

რუსეთის ცსკო ეკატერინე დონცოვას წინააღმდეგ

რუსეთის ცსკომ ეკატერინე დონცოვას არ მისცა უფლება კენჭი ეყარა პრეზიდენტობაზე. დონცოვას საბუთებში ცსკო-მ უამრავი შეცდომა და უზუსტობა აღმოაჩინა. შედეგად დონცოვას უარი ეთქვა პრეზიდენტობისათვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებაზე.

დონცოვა პროფესიით იურისტია. პარალელურად ჟუნალისტურ მოღვაწეობასაც ეწევა. ის სამი შვილის დედაა. დონცოვამ სახელი გაითქვა იმით, რომ ხმამაღლა განაცხადა: არჩევნებში კენჭს ვიყრი და ვლადიმერ პუტინსაც დავამარცხებო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

იაფად შეძენილმა ვაზამ ქალს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკაში ქალმა საკომისიო საქველმოქმედო მაღაზიაში ძალიან იაფად შეიძინა ვაზა, რომელმაც მას სოლიდური თანხა მოუტანა.

ვირჯინიის შტატის მცხოვრებმა ჯესიკა ვინსენტმა ადგილობრივ საქველმოქმედო საკომისიო მაღაზიაში კონკრეტული მიზნის გარეშე შეიარა. ის მომცრო მინის ვაზას ათვალიერებდა, როდესაც მის ფსკერზე ასო „მ“ შენიშნა. ქალმა იფიქრა, რომ ვაზა შესაძლოა მასზე დადებულ ფასზე 3,99 დოლარზე ძვირი ღირებულიყო და უყოყმანოდ შეიძინა.

ქალი ფიქრობდა, რომ ჭურჭლის ფსკერზე დაწერილი ასო „მ“ კუნძულ მურანოს ნიშნავდა, რომელიც ვენეციელი მინის მწარმოებლებითაა ცნობილი, რომლებიც ნამდვილ ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდნენ. ამავე დროს ვინსენტი ვარაუდობდა, რომ იაფად შეძენილ ვაზაში ერთ-ორ ათას დოლარზე მეტს ვერ მიიღებდა.

სახლში დაბრუნებულმა ქალმა გადაწყვიტა შეძენილ ნივთზე უფრო მეტი შეეტყო. ინტერნეტში მოძებნილმა მე-20 საუკუნის იტალიური ხელოვნების მცოდნეებმა ვინსენტს უთხრეს, რომ შესაძლოა ვაზა არქიტექტორ კარლო სკარპის ნამუშევარი იყო. ამის შემდეგ ქალმა ვაზის ფოტოსურათები ერთ-ერთი აუქციონის სახლს გაუგზავნა. მალევე მას ორგანიზაციის პრეზიდენტი რიჩარდ რაიტი დაუკავშირდა. ვაზა გასაყიდად აუქციონზე იქნა გატანილი და ის ანონიმმა მყიდველმა 107,1 ათას დოლარად შეიძინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ფეხბურთი

23 დეკემბერი

ინგლისი. ჰემპიერლიგა

ვესტ ჰემი-მანჩესტერი	2:0
ლუთონი-ნიუკასლი	1:0
ნოტინგემი-ბორნმუთი	2:3
ტოტენჰემი-ევერტონი	2:1
ფულემი-ბარნლი	0:2
ლივერპული-არსენალი	1:1

სატუნირო ცხრილი:

1.არსენალი	18	12	4	2	36-16	40
2.ლივერპული	18	11	6	1	37-16	39
3.ასტონ ვილა	18	12	3	3	38-22	39
4.ტოტენჰემი	18	11	3	4	37-24	36
5.სიტი	17	10	4	3	40-20	34
6.ვესტ ჰემი	18	9	3	6	31-30	30
7.ნიუკასლი	18	9	2	7	36-22	29
8.მანჩესტერი	18	9	1	8	18-23	28
9.ბრაიტონი	18	7	6	5	34-31	27
10.ბორნმუთი	18	6	5	7	25-33	23
11.ჩელსი	17	6	4	7	28-26	22
12.ფულემი	18	6	3	9	26-31	21
13.ბრენტფორდი	17	5	4	8	24-24	19
14.ვულვზი	17	5	4	8	21-29	19
15.კრ.პალასი	18	4	6	8	18-26	18
16.ევერტონი	18	8	2	8	23-22	16
17.ნოტინგემი	18	3	5	10	19-33	14
18.ლუთონი	18	3	4	11	19-33	13
19.ბარნლი	18	3	2	13	18-36	11
20.შეფილდი	18	2	3	13	13-44	9

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ატლეტიკო-სევილია	1:0

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	18	14	3	1	39-11	45
2.ხირონა	18	14	3	1	42-21	45
3.ბარსელონა	18	11	5	2	34-21	38
4.ატლეტიკო	18	12	2	4	36-19	38
5.ბილბაო	18	10	5	3	34-19	35
6.სოსიედადი	18	8	7	3	29-18	31
7.ბეტისი	18	6	10	2	20-18	28
8.ხეტაფე	18	6	8	4	24-23	26
9.ლას პალმასი	18	7	4	7	15-15	25
10.ვალენსია	18	6	5	7	19-22	23
11.რაიო	18	4	8	6	16-24	20
12.ვილიარეალი	18	5	4	9	26-35	19
13.ოსასუნა	18	5	4	9	21-29	19
14.მალიორკა	18	3	9	6	17-22	18
15.ალავესი	18	4	4	10	14-24	16
16.სევილია	18	3	7	8	23-25	16
17.კადისი	18	2	9	7	14-24	15
18.სელტა	18	2	7	9	18-28	13
19.გრანადა	18	1	5	12	20-40	8
20.ალმერია	18	0	5	13	19-42	5

იტალია. სერია ა

ფროზინონე-იუვენტუსი	1:2
ბოლონია-ატალანტა	1:0
ტორინო-უდინეზე	1:1
ვერონა-კალიარი	2:0
ინტერი-ლეჩე	2:0
რომა-ნაპოლი	2:0

სატუნირო ცხრილი:

1.ინტერი	17	14	2	1	41-7	44
2.იუვენტუსი	17	12	4	1	26-11	40
3.მილანი	17	10	3	4	31-20	33
4.ბოლონია	17	8	7	2	21-12	31
5.ფიორენტინა	17	9	3	5	26-18	30
6.რომა	17	8	4	5	30-19	28
7.ნაპოლი	17	8	3	6	28-21	27
8.ატალანტა	17	8	2	7	28-20	26
9.ლაციო	17	7	3	7	18-18	24
10.ტორინო	17	6	6	5	15-17	24
11.მონცა	17	5	6	6	16-18	21
12.ლეჩე	17	4	8	5	19-23	20
13.ფროზინონე	17	5	4	8	22-28	19
14.ჯენოა	17	5	4	8	18-22	19
15.სასუოლო	17	4	4	9	25-32	16
16.ვერონა	17	3	5	9	15-23	14
17.უდინეზე	17	1	11	5	15-28	14
18.კალიარი	17	3	4	10	16-31	13
19.ემპოლი	17	3	3	11	10-30	12
20.სალერნიტანა	17	1	6	10	14-36	9

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

სეოკის ვერსიით, წლის საუკეთესო სპორტსმენი ლაშა ტალახაძეა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესია გაიმართა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს.

დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 2023 წელს გარდაცვლილ სპორტულ მოღვაწეთა და სპორტსმენთა ხსოვნას.

დამსწრე საზოგადოებას 2023 წლის საქმიანობის ანგარიში სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა წარუდგინა. ხაბელოვმა 2023 წლის მთავარ სპორტულ ამბებზე, მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. ითქვა, რომ უმთავრეს საერთაშორისო ტურნირებში მნიშვნელოვანი გამარჯვებებია მოპოვებული ძიუდოში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, კრივში, ბატუტზე ხტომაში, ფიგურულ ციგურაობაში და სხვა სახეობებში. მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებსა და დისციპლინებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოვიპოვეთ 50-ზე მეტი მედალი.

ხაბელოვი შეეხო ისეთ აქტუალურ და მტკივნეულ თემას, როგორიცაა დოპინგი და მასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები.

პარიზი 2024-ისთვის მზადების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, 2024 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელმა ელგუჯა ბერიშვილმა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა ლიცენზიანტებზე, მომავალ საერაციენზიო ტურნირებზე, ოლიმპიური დელეგაციის ფორმირების, აკრედიტაციის, ცივილური და სპორტული სამოსით უზრუნველყოფის, აკრედიტაციის და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის მზადების მიმდინარეობის შესახებ, დამსწრე საზოგადოებას ვრცელი პრეზენტაცია საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მამუკა ხაბარელმა წარუდგინა. აღინიშნა, რომ ყველაფერი კეთდება, რათა ღირსეულად ვუმასპინძლოთ მნიშვნელოვან მულტისპორტულ შეჯიბრებას.

სესიის გადაწყვეტილებით, სეოკ-ის აღმასკომის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ გეგეშიძე, რომელიც ბოლო 2 წლის მანძილზე არ დასწრებია სეოკ-ის აღმასკომის არც ერთ სხდომას და სეოკ-ის სესიას; სეოკ-ის სპორტსმენთა კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ვარლამ ლიპარტელიანის ნაცვლად, როტაციის წესით, სეოკ-ის აღმასკომის წევრად აირჩიეს ამ კომისიის მოქმედი თავმჯდომარე გოგიტა არქანია. აღმასკომის წევრად ასევე აირჩიეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ქალაქ გორის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი შალვა მაისურაძე.

გაიმართა სეოკ-ის ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალიც:

მეტოქისადმი გამოვლენილი გულისხმიერებისთვის სპეციალური ჯილდო გადაეცა, ევროპის XVII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ოქროს მედალოსანს მათე გველესიანს (ძიუდო);

მესამე ევროპულ თამაშებზე მიღწეული უმაღლესი შედეგისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდნენ აღნიშნული თამაშების ჩემპიონები – ზურაბ კინწურაშვილი (ტაეკვონდო) და ლუკა შონია (კიკბოქსინგი);

სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები:

2023 წლის აღმოჩენა– ოლიმპიური იმედი (გოგონა) მარიამ რაგიმოვი, ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ასევე ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია;

2023 წლის აღმოჩენა– ოლიმპიური იმედი (ვაჟი) გიორგი თოხაძე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი.

2023 წლის საუკეთესო სპორტული გუნდი– საქართველოს ძიუდოს ქალთა და ვაჟთა შერეული ნაკრები გუნდი, 2023 წლის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის და მესამე ევროპული თამაშების ჩემპიონი.

ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა დამსახურებული სპორტული ჟურნალისტი დავით ქლიბაძე.

2023 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენისპორტის სათამაშო სახეობებში, საქართველოს კალათბურთის ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელია.

2023 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქალი– ანასტასია გუბანოვა, ფიგურულ ციგურაობაში 2023 წლის ევროპის ჩემპიონი.

2023 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი– ლაშა გუჯეჯიანი, საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპულ თამაშებზე სტაბილურად ნაჩვენები მაღალი სპორტული შედეგებისთვის – სანდრო ბაზაძე, 2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, მესამე ევროპული თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო თასის მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, მსოფლიოს საუკეთესო ხმლით მოფარიკავე.

ოლიმპიური სპორტის მთავარი მხარდამჭერი – სეოკ-ის გენერალური სპონსორი საქართველოს ბანკი.

2023 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი – ლაშა ტალახაძე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, შვიდგზის მსოფლიოს და შვიდგზის ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური და მსოფლიოს რეკორდსმენი, ლაშა ტალახაძეს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მეშვიდედ ერგო. ლაშას ასევე გადაეცა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური ჯილდო. ლეგენდარულ ძალოსანს წლის საუკეთესო სპორტსმენის ნომინაციისთვის განკუთვნილი სპეციალური ჯილდო „ოლიმპიური ალი“ სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა არჩილ გაჩეჩილაძემ გადასცეს.

ქართული სპორტის სიამაყე ნინო სალუქვაძე, ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ცხრა ოლიმპიური თამაშების მონაწილე, წლევანდელ ევროპულ თამაშებზე მოიპოვა პარიზის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია და მე-10 იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებზე.

ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცათ ცნობილი მოქანდაკის ლევან ვარდოსანიძის მიერ შექმნილი სპე-

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპორროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

მამუკელაშვილს დრო გაეზარდა, ბითაძეს შეუმცირდა

ოკეანის გაღმა ქართველ კალათბურთელთა სათამაშო დრო კონკურენტთა ტრავმებზეა დამოკიდებული. თუ აქამდე გოგა ბითაძე უფრო ხშირად თამაშობდა, დღეს გამთენიისას მოედანზე მამუკელაშვილი უფრო დიდხანს იყო.

სან ანტონიოს ახალწვეული ვიქტორ ვემბანიამს მარჯვენა კოჭის ტრავმა აწუხებს და მის გამოთავისუფლებული დრო რამდენიმე კაცზე ნაწილდება. ერთ-ერთი მათგანი მამუკელაშვილია.

სან ანტონიო დალასს ესტუმრა და 119:144 წააგო. მამუკელაშვილს 15 წუთი ერგო, რა დროშიც 14 ქულა ჩააგდო.

მამუკელაშვილი მოედანზე პირველ მეოთხედში გამოჩნდა, მაგრამ გრეგ პოპოვიჩმა შემდეგი ორი მეოთხედი არ ათამაშა და მატჩის ბოლოს შეუშვა, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მთლიანობაში ქართველ ფორვარდს, 14 ქულასთან ერთად, 5 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება დაუგროვდა. მამუკელაშვილმა სამიდან სამი ორქულიანი, სამიდან ერთი სამიანი და ექვსიდან ხუთი საჯარიმო ჩააგდო.

ორლანდოში კი, ქართველი კალათბურთელის ბედი პირიქით შეიცვალა. გამოჯანმრთელდა ვენდელ კარტერი და მეჯიქის სასტარტო ხუთეულში ცენტრის პოზიცია დაიკავა. მეორე მატჩია კარტერი ხუთეულში იწყებს, ბითაძის სათამაშო დრო და შედეგიანობა კი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამჯერად ორლანდომ სტუმრად გოგას ყოფილ გუნდს, ინდიანას მოუგო – 117:110.

სასტარტო კარტერს ბევრი არ უთამაშია – 16 წუთში 4 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა. თუმცა, ბევრი დრო არც ბითაძეს ერგო: ქართველმა ცენტრმა 11 წუთში 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ბითაძეს თამაშიდან არ შეუტევია და მხოლოდ ორი საჯარიმო ესროლა, რომელთაგან ზუსტი ერთი იყო.

ახლა კალათბურთელები საშობაოდ დაისვენებენ, თამაშები კი, 27 დეკემბერს გაგრძელდება. ბითაძის ორლანდო ვაშინგტონს ესტუმრება, ხოლო სან ანტონიო შინ იუტას დაუხვდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შავი ლომი ევროპის სუპერ თასის გამარჯვებული ზედიზედ მესამედ გახდა

შავი ლომი (საქართველო)-თელ ავივ ჰითი (ისრაელი) 27:17

შავმა ლომმა თელავივ ჰითი „ავჭალაზე“ 27:17 დაამარცხა და რაგბი ევროპის სუპერ თასის გამარჯვებული ზედიზედ მესამედ გახდა.

აღსანიშნავია, რომ უმეტესად სამხრეთ აფრიკელი ლეგიონერებით დაკომპლექტებული ჰითი შავი ლომისთვის სუპერ თასზე მთავარ მოწინააღმდეგედ იქცა. გუნდებს შორის უკვე 7 შეხვედრა გაიმართა და თუ არ ჩავთვლით პირველ წელს, ყველა მათგანი დაძაბული აღმოჩნდა.

ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი გუნდი ჰითს კვიპროსში, ლიმასოლში შეხვდა და პირველ ტაიმში 23:6 დაწინაურდა, მაგრამ ბოლოს ორი ქულის სხვაობით იმარჯვა – 29:27. ფინალიც მსგავსი სცენარით წარიმართა. შავმა ლომმა პირველ ტაიმში მოპოვებული 17-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა და საბოლოოდ 27:17 მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ რაგბი ევროპამ ფინალური მატჩი სამუშაო დღეს, პარასკევს, 15:00 საათზე დანიშნა, ერთგული ქომაგი „ავჭალაზე“ მაინც მრავლად მივიდა. მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორივე გუნდის მორაგბეებს ეტყობოდა დაძაბულობა, რის გამოც თამაშის სანახაობრივი მხარე დაკნინდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირი იყო ჯარიმები, წაგებული დერეფნები და არაზუსტი გადაცემები, მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას. შავი ლომი ტრადიციულად ძლიერი იყო დაცვაში, რითაც მეტოქეს წინსვლის შესაძლებლობას უსპობდა და ისინიც იძულებული ხდებოდნენ ფეხით ეთამაშათ.

მე-7 წუთზე ქართველებმა პირველად შეძლეს მეტოქის 22-ში შესვლა, კარის წინ 15 მეტრში ჯარიმა გამოიმუშავეს და ლუკა მატკავამ ანგარიში გახსნა. ნელ-ნელა შერკინებაში ჩვენი გუნდის უპირატესობა გამოიკვეთა, რასაც ჯარიმა, 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი და გიორგი კერვალიშვილის ლელო მოყვა. მე-20 წუთზე უკვე ხაზზე გაიშალა ბურთი, სადაც სანდრო თოდუამ შეუტია და ბოჭვის მიუხედავად, ლელო გაიტანა. მატკავამ ორივე გარდასახვა ზუსტად შეასრულა.

ამის შემდეგ მოედანზე სიტუაცია შეიცვალა. ირლანდიელმა რეფერიმ ენდრიუ ქოულიმ ერთი მეორეს მიყოლებით დაგვაჯარიმა, რამაც ჰითს ჩვენს 5-მეტრიანში შემოსვლის შესაძლებლობა მისცა, 26-ე წუთზე აგორებული მოლის შემდეგ კი, მსაჯმა საჯარიმო ლელოთი დაგვსაჯა და სანდრო მამამთავრიშვილი სინბინში გაუშვა. მიუხედავად ამისა, კაცნაკლულმა შავმა ლომმა ინიციატივა დაიბრუნა, რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელა, 37-ე წუთზე დერეფნიდან კარგი კომბინაცია გაითამაშა და ლუკა ივანიშვილმა ჩვენი გუნდის მესამე ლელო გაიტანა, მატკავამ კი, რთული პოზიციიდან მეორე გარდასახვაც ზუსტად შეასრულა – 24:7.

მეორე ტაიმში ქოულიმ შავი ლომის საწინააღმდეგოდ იმდენი ჯარიმა თუ უპირატესობა დანიშნა, რომ ფაქტობრივად თამაშის შესაძლებლობა მოგვისპო. 48-ე წუთზე, როდესაც მასპინძლები უტევდნენ, მან გიორგი კერვალიშვილის მხრიდან თავით თავში კონტაქტი დააფიქსირა და მესამეხაზელი წითელი ბარათით გააძევა. ამას ჰითის პირველი ხაზის შეცვლა მოყვა და ზორბა ბურჯებმა შერკინებასა და ძალისმიერ თამაშში უპირატესობა მოიპოვეს.

53-ე წუთზე სტუმრების მოლი ნილ რაუტენბახის ლელოთი დასრულდა. მომდევნო 10 წუთში სტუმრების ორი სახიფათო შეტევა კარგი ბოჭვით შევაჩერეთ, თუმცა წაგებული დერეფნები თუ ჯარიმები კვლავ ჩვენს ნახევარზე გვაბრუნებდა და 65-ე წუთზე მოლი უკვე დენი ჰობსის ლელოთი დასრულდა. გარდასახვები არაზუსტი იყო და სხვაობა 7 ქულამდე დავიდა.

ასეთ ფონზე შავმა ლომმა აღარ გარისკა და 69-ე წუთზე მატკავამ 30 მეტრიდან გატანილი ჯარიმით მონაგარი 3 ქულით გაზარდა. 74-ე წუთზე მოედანზე 13 კაცის ამარა დავრჩით. რეფერიმ ყვითელი ბარათი ამჯერად ბექა მამრიკიშვილს აჩვენა და ჰითმაც ძალისმიერი ლელოს გატანა მორიგ ჯერზე სცადა, მაგრამ ქართველებმა შეძლეს თავის დაცვა და 27:17 მოგებით, სუპერ თასი ზედიზედ მესამედ შემართეს.

შავ ლომს კუთვნილი მედლები და თასი რაგბი ევროპის ვიცე-პრეზიდენტმა კრისტიან დულინმა და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ გადასცეს.

ლევან მაისაშვილი:

– მარტივი თამაშის მოლოდინი არც გვქონდა. ჰითს მეშვიდედ შევხვდით და მათთან იოლი მატჩი არც ერთხელ გვქონია. ჰითი ტურნირის სხვა მონაწილეებზე ერთი თავით მაღლა დგას. მეტოქე შანსის გამოყენებას მაქსიმალურად ეცადა. პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და შეგვეძლო გამარჯვებამდე მშვიდად მივსულიყავით, მაგრამ სადღაც ემოციამ გვძლია, სადღაც დისციპლინამ გვიმტყუნა. წითელი ბარათის მიღების შემდეგ დიდი ზეწოლის ქვეშ მოვექეცით.

მადლობა ბიჭებს, რომლებმაც ამ გამარჯვებისა და სიხარულისთვის თამაშში უზარმაზარი ენერგია ჩადეს. მიუხედავად პრობლემებისა, მათ მესამედ აწიეს სუპერ თასი. შავი ლომი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს, ისტორიას ქმნის და მადლობა ყველას, ვინც მის დაარსებას საფუძველი ჩაუყარა.

მერაბ შარიქაძე: „ფრანგებს უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ გვიყვარს ქართველებს რაგბი“

მერაბ შარიქაძე:

– მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში 17 ქულით დავწინაურდით, რთული თამაში გამოვიდა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. უკვე დავიღალე მსაჯების შეცდომებზე საუბრით, მაგრამ პირადად ჩემთვის გაუგებარია, რაზე გვაჯარიმებდა და რატომ აჩვენა წითელი ბარათი გიორგი კერვალიშვილს, მაშინ, როდესაც მსგავსი თავი თავში კონტაქტი პირიქითაც ძალიან ბევრი იყო.

გარდა ამისა, ადრეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ ჰითი ფიზიკურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, ვის წინააღმდეგაც ოდესმე მითამაშია. მთავარია, გამარჯვება მაინც მოვახერხეთ და თასი ზედიზედ მესამედ აღვმართეთ. მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა გულშემატკივარს. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ასეთ უხერხულ დროს დაინიშნა, რაც სუფთად რაგბი ევროპის პასუხისმგებლობაა, მაინც მოვიდნენ „ავჭალაზე“ და თითქმის სავსე ტრიბუნების წინაშე ვითამაშეთ.

ახლა ჩელენჯ თასის ჯგუფურ ეტაპზე ორი უმნიშვნელოვანესი თამაში გველის – 13 იანვარს კასტრთან საფრანგეთში და 20 იანვარს თბილისში, „მიხეილ მესხზე“, ასევე ფრანგულ გრანდ კლერმონთან.

ფრანგული გუნდის წინააღმდეგ შავ ლომს ჯერ არ უთამაშია და ეს ჩვენთვის საინტერესო გამოწვევაა. დარწმუნებული ვარ, კასტრიც და კლერმონიც ამ მატჩებისთვის განსაკუთრებით მოემზადება, მით უმეტეს, ჩვენი სქარლეთსთან გამარჯვების შემდეგ. ვისურვებდი, რომ კლერმონთან მატჩზე „მიხეილ მესხის“ ტრიბუნები გადაჭედილი იყოს. ფრანგებს უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ გვიყვარს ქართველებს რაგბი.

სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, საპატიო რკინიგზელი

ჯუმბერ (მერაბ) გიორგის-ძე ბულაშვილი



იგი დაიბადა 1943 წლის 15 ოქტომბერს, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში, მოსამსახურის ოჯახში. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა სნოს საშუალო სკოლა, 1967 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი, სპეციალობით ვაგონმშენებლობა და სავაგონო მეურნეობა.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1960 წლიდან სარკინიგზო ტრანსპორტზე თბილისის სავაგონო დეპოში ზეინკლის თანამდებობაზე და სახელოვნად და ნაყოფიერად გაიარა ხანგრძლივი შრომითი გზა. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სავაგონო სამსახურის სექტორის უფროსად, თბილისის სავაგონო დეპოს ტექნიკური გასინჯვის პუნქტის უფროსად, ამავე სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილედ.

1977 წელს ჯუმბერ ბულაშვილი დააწინაურეს თბილისის სავაგონო დეპოს უფროსად. 1981 წელს იგი გადაიყვანეს თბილისის სავაგონო უბნის უფროსად. 1982-86 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც იგი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1986-87 წლებში მუშაობდა თბილისის ელექტროვაგონმშენებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად, 1987-96 წლებში – ა/კ რკინიგზის სამგზავრო სამსახურის მთავარ ინჟინრად. 1996-97 წლებში იგი ასრულებდა თბილისის სატვირთო სავაგონო დეპოს უფროსის მოვალეობას. 1977 წლის აგვისტოში ჯუმბერ ბულაშვილი გადაყვანილ იქნა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის საუბნო ზედამხედველობის მთავარი რევიზორის მოადგილედ. იმავე წლის დეკემბერში იგი გადაყვანილ იქნა სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1999 წლის დეკემბრამდე. შემდგომში გადაყვანილ იქნა სავაგონო მეურნეობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2006 წლის ივნისში იგი დაინიშნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სავაგონო დეპარტამენტის მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორის თანამდებობაზე, სადაც იმუშავა 2009 წლის ივლისამდე. ამ პერიოდიდან ჯუმბერ ბულაშვილი ფილიალ „სატვირთო გადაზიდვების ფილიალში“ მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორის თანამდებობაზე მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჯუმბერ ბულაშვილი დაჯილდოებული იყო მედლით „შრომის ვეტერანი“, ნიშნით „საპატიო რკინიგზელი“, ნიშნით „30 წელი უმწიკვლო სამსახურისთვის.“ იგი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი.

ყველგან, სადაც კი იმუშავა ჯუმბერ ბულაშვილმა, თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა, შრომისმოყვარე და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. ადამიანებთან ურთიერთობაში იყო უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი.

იგი იყო საქართველოს რკინიგზის შრომის ვეტერანთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2020 წლიდან კი ამ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე.

წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდებული ოჯახის უფროსი, საუკეთესო კოლეგა და მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა, პაპა და დაგვიტოვა დიდი სევდა. მისი ხსოვნა მარადიული იქნება ჩვენს გულებში.

შრომის რკინიგზელთა ვეტერანთა ასოციაციის გამგეობა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 2. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; 3. ტყუილი, მოგონილი ამბების გამავრცელებელი ადამიანი; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქუჩის ტელეფონავტომატი; 8. ცნობილი იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ტენორი; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 17. ხელოვნების ქურუმის ტიტულის მფლობელი ქართველი კინომსახიობი მამაკაცი; 19. კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფო; 20. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 15. ტბა სამხრეთ საქართველოში; 18. ირლანდიელი მწერალი, რომან „ულისეს“ ავტორი; 21. პარფიუმერიულ საშუალებათა სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით; 23. ქართული ძილისპირული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დეპორტი; 2. ბარი; 3. ჩარხი; 4. ორვილე; 6. რუზველტი; 9. დარიკო; 13. ჯორჯონე; 14. ფაიზერი; 15. უცნობი; 17. კანოე; 18. ტუნგი; 20. ბალი.

თარაზულად: 1. დუბლეტი; 5. ტიბრი; 7. პაუპერი; 8. პერიოდი; 10. ბრიზი; 11. ხავსი; 12. ცერული; 16. ჯალიტა; 17. კინტო; 13. რიწა; 21. ხოხობი; 22. ბოტეგა; 23. ჰიმენე; 24. ქიზიყი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყაზბეგი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. ჩეფერინი; 7. მარგალიტი; 8. ბუდეშური; 12. ნიშადური; 14. კადილაკი; 16. კობალტი; 17. ჰამლეტი; 19. გეთი; 20. ხაჭო.

თარაზულად: 5. კაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. ცერერა; 10. მატანი; 11. ოდიში; 13. ჰიმნი; 15. ბაიერი; 18. ჯოული; 21. ყანდარელი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

25 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6878

ევრო — 2.9614

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4183

100 რუსული რუბლი — 2.9290

ამინდის პროგნოზი 25 დეკემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურგენ კლოპი: „არსენალთან უნდა მოგვეგო“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა არსენალთან მატჩის შემდეგ თქვა, რომ მის გუნდს შეხვედრა უნდა მოეგო და მათ უბრალოდ არ გაუმართლათ. კლოპმა მატჩის მსაჯიც გააკრიტიკა და თქვა, რომ მან არსენალის კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა:

– მთელი მატჩის მანძილზე გვქონდა უპირატესობა და არ მესმის, თუ როგორ ვერ მოვახერხეთ მოგება. ჩვენი შანსები უკეთ უნდა გამოვიყენოთ. ვფიქრობ, რომ მსაჯს პირველ ტაიმში არსენალის კარში პენალტი უნდა დაენიშნა.

ნაპოლი რომასთან დამარცხდა

ნაპოლიმ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო და ამჯერად ხვიჩა კვარაცხელიას გუნდი, სტუმრად რომასთან დამარცხდა 0:2. კვარაცხელიამ მოედანზე 86 წუთი დაჰყო და პირველი ტაიმის ბოლოს, მას რომას მთავარ მწვრთნელთან, ჟოზე მოურინიოსთან მოუვიდა მცირე კონფლიქტი და მათი საუბრის კადრებმა მთელი ინტერნეტსივრცე მოიარა.

საბოლოოდ, მეორე ტაიმში ნაპოლი 9 კაცით დარჩა და რომამ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. ამ წაგების შემდეგ ნაპოლიმ იტალიის სერიაში მე-7 ადგილზე გადაინაცვლა.

რობერტ ლევანდოვსკი: „ბარსელონადან წასვლას არ ვაპირებ“

ბარსელონას პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ თქვა, რომ ის კატალონიურ გუნდში თავს კარგად გრძნობს და გუნდიდან წასვლას არ აპირებს. ლევანდოვსკის აზრით, ბარსელონას შეუძლია უკეთ თამაში და მათ ამის პოტენციალი აქვთ:

– ბარსელონაში ბედნიერი ვარ და ჭორები ჩემი წასვლის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. მინდა, რომ გუნდთან ერთად კიდევ მოვიგო ტიტულები და ვფიქრობ, რომ ბარსელონას ამის პოტენციალი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მოძრაობის თეატრში საშობაო ჟრიამულია

მუშტაიდის ბაღში მდებარე მოძრაობის თეატრი ახალი წლის დადგომას პრემიერით ეგებება. 26 დეკემბერს თეატრში მისულ მაყურებელს რეჟისორი იოსებ ბაკურაძე ახალ სპექტაკლს შესთავაზებს.

„საშობაო ჟრიამული“ – ასე ჰქვია ახალ წარმოდგენას, რომელიც 10 იანვრის ჩათვლით ყოველდღიურად უმასპინძლებს ბავშვებს თეატრის ჯადოსნურ გარემოში.

ონავარი ბავშვები ეზოში თავს იყრიან და თოვლში სხვადასხვა თამაშს თამაშობენ. ბავშვების თავგადასავლები და ფათერაკები მათ ცხოვრებას უფრო ხალისიანს ხდის. მოხუცი ბაბუა ბავშვებს ეზოს ბუა ჰგონიათ, თუმცა სინამდვილეში, ის მათი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ ნინი თათოშვილი, მარიამ ბალახაძე, ჩიკა ოგი, ანა თალაკვაძე, ნიკა შაბურიშვილი, ბექა გარსენიშვილი და ბახვა წერედიანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პლანეტის ყველაზე ლამაზი გოგონა გამოვლინდა

სილამაზის საერთაშორისო კონკურსის „მის დედამიწას“ გამარჯვებული ალბანეთის წარმომადგენელი გოგონა გახდა.

ალსანიშნავია, რომ კონკურსის ფინალში ჟიური ოთხ გამარჯვებულს ირჩევს. მათ შორის კი ყველაზე საპატიოდ მის დედამიწა ითვლება, რომელიც ალბანელი დრიტა ზირი გახდა.

თავისი სილამაზის დედოფლები ჰყავს სხვა სტიქიებსაც – ჰაერი, ცეცხლი და წყალი. მის ჰაერი ფილიპინელი გოგონა ილიანა ადუანი გახდა. მის ცეცხლად ტაილანდელი კორა ბლიალულტი აღიარეს, ხოლო მის წყლად ვიეტნამელი დო ტხი ლან ანი დასახელდა.

კონკურსის ორგანიზატორებმა ჯილდოები კიდევ შვიდ ნომინაციაში დაარიგეს. პრიზი ნომინაციისთვის საუკეთესო გამოსვლა და ეროვნული კოსტიუმი დო ტხი ლან ანიმ მიიღო. ბიკინის კონკურსში ილიანა ადუანმა გაიმარჯვა. ხალხის რჩეული კი ინდონეზიის წარმომადგენელი სინდი ინანტო გახდა.

საუკეთესო საღამოს კაბისთვის ჯილდო ყაზახეთის წარმომადგენელმა დილნაზ ტილაევმა მიიღო. ტალანტების კონკურსში პირველ ადგილზე ახალზელანდიელი კეიტლინ დულსი გავიდა, ხოლო ეკოლოგიის საუკეთესო პრეზენტაციისთვის ჯილდო ევროპის გუნდს გადაეცა.

მეუღლის უყურადღებობამ ქალს სიმდიდრე მოუტანა

აშშ-ში ქალი მისივე მეუღლის უყურადღებობის წყალობით გამდიდრდა.

კონექტიკურტის შტატის მკვიდრმა ტანია ჰემონდსმა მეუღლეს ლატარიის გარკვეული გათამაშების ბილეთების ყიდვა სთხოვა, მაგრამ მის ქმარს შეეშალა და შეცდომით სხვა მომენტალური ლატარიის ბილეთები მიუტანა. ისინი მალაზიაში დახლზე იმ ბილეთების გვერდით ეწყო, რომელთა ყიდვაც ცოლმა სთხოვა.

შედეგად კი, მეუღლის უყურადღებობამ ქალს სოლიდური მოგება მოუტანა. როდესაც ტანიამ ერთ-ერთ ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და შეამოწმა, აღმოჩნდა, რომ მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა. ქალის თქმით, მან თავიდან საკუთარი წარმატება ვერ დაიჯერა და იფიქრა, რომ აქ რაღაც შეცდომა იყო. თუმცა, მოგვიანებით დარწმუნდა, რომ ნამდვილად გათამაშების გამარჯვებული იყო და მაშინვე ეს სასიხარულო ამბავი დედას შეატყობინა.

ქალს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ქათამაძე საახალწლო კონცერტებზე არ მიიწვიეს

მომღერალი ნინო ქათამაძე საახალწლო კონცერტებზე არ მიიწვიეს. ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ამ წელსაც გადაწყვიტეს, რომ მთელი წელი უნდა ვყოფილიყავი „ჩუმად“, ანუ სიმღერის-კონცერტების გარეშე. იბრძოლეს ყველგან და ყველასთან, სადაც შეეძლოთ... ვინ? იმედი მაქვს ხვდებით და ამ ახალ წელსაც ვერ შევძლებ თქვენთან ერთად ყოფნას, რადგან აქაც არ დაიშურეს ძალები.

სამწუხაროდ, ვერც ერთ ქალაქში ვერ შევხვდებით, განსაკუთრებულად მტკივა ჩემი ბათუმი.

ამ დღეებში აუცილებლად ჩაგერთვებით ფეისბუქზე, რადგან ვთვლი, რომ უნდა იცოდეთ დეტალები, სანამ კიდევ რამე „მომაწერეს და დამაბრალეს“.

ირაკლი ფირცხალავა მოლდოვაში არ შეუშვეს

მომღერალი ირაკლი ფირცხალავა მოლდოვაში არ შეუშვეს.

მოლდოვის სასაზღვრო პოლიციის პრესმდივნის მიერ გავრცელებული ინფორმაციით ცნობილი ხდება, რომ ქვეყანაში შესვლაზე 39 მოქალაქეს ეთქვა უარი. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ისინი „არ აკმაყოფილებდნენ შესვლის პირობებს.“

39 მოქალაქეს შორის აღმოჩნდა მომღერალი ირაკლი ფირცხალავაც, რომელსაც ადგილობრივი მედია „რუს მომღერლად“ მოიხსენიებს. ირაკლი ფირცხალავა წლებია მოსკოვში ცხოვრობს და მღერის.

ნიკო ნიკოლაძის 180 წლის იუბილეს ეროვნული არქივი აღნიშნავს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 180 წლისადმი მიძღვნილი მულტიმედიური ონლაინგამოფენა მოამზადა.

ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი 1843 წელს ქუთაისში დაიბადა. საქართველოს ეროვნული არქივი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მრავალფეროვან და საინტერესო მასალას ინახავს.

ონლაინგამოფენაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, წერილობითი დოკუმენტები, პერიოდული გამოცემები და წიგნები, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს ასახავს. ექსპონატებს შორისაა მისი დაბადების ჩანაწერი, პირველი პუბლიკაცია ჟურნალ „ცისკარში“, ჟურნალ „დროებაში“ გამოქვეყნებული სტატიების კრებული, მოგონებები...

იზა ორჯონიკიძის გამოფენა ლიტერატურის მუზეუმშია

პოეტ იზა ორჯონიკიძის გამოფენა ლიტერატურის მუზეუმშია. ექსპოზიციის გახსნას დაემთხვა ლიტერატურული კალენდრის გამოსვლა, რომელსაც პოეტის ფოტო ამშვენებს.

ნანა კობალაძე, ლიტერატურის მუზეუმის წარმომადგენელი:

– ლიტერატურის მუზეუმში იზა ორჯონიკიძის გამოფენის გახსნას ახალი, 2024 წლის ლიტერატურული კალენდრის გამოსვლა დაემთხვა. ისე მომწონს, ვდარდობ, რომ სულ 12 თვეა წელიწადში. ყდას იზას პორტრეტი ამშვენებს. ვისაც 2024 წლის კალენდარი ჯერ არ შეგიძენიათ, იჩქარეთ, თორემ დაიტაცებენ!

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფრანგული იავნანა; 2. ქართული სპორტული რადიო; 3. ვულკანი ისლანდიაში; 4. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 6. ცნობილი ქართველი ძიუდოს მსაჯი; 9. დიდი სპორტული შეჯიბრება იახტებით, ნიჩბებიანი და მოტორიანი ნავებით; 13. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 14. მხარე ბელგიაში; 15. პორტუგალიური ღვინო; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. მეთექვსმეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ოქრომჭედელი; 20. ყაჩაღის ძველი სახელწოდება საქართველოში.

თარაზულად: 1. წმინდა ოქრო; 5. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 7. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 11. ლეო დელიბის ოპერა; 10. კანიონი ხონის რაიონში; 12. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 16. ცნობილი ქართველი მეტალურგი, აკადემიკოსი; 17. ილეთი ჭიდაობაში; 19. დამუხტული ატომი; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 22. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 23. მსოფლიოში უძველესი სპარსეთში მოჭრილი ოქროს მონეტა; 24. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის“ ლიდერი.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა